645/3
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ქალი

№ 7 ივლისი 1959 წ

645/3

11




Вена. 1959. Фестиваль
За мир и дружбу!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვენაში, ფორტეპიანზე

1742

პატარა მაგიდაზე ტელეფონის აპარატი დევს. გვერდით, რბილ სავარძელში მოხუცი ქალი ზის. თვალს არ აშორებს ყურმილს. მერე ოცნებით კონსერვატორიის მცირე დარბაზს მოიარს. საათს შეხედავს.

ცხრა საათი და თხუთმეტი წუთია...

იქ, დარბაზში, ელისომ უკვე შეასრულა ბახ-სენ-სანსის უვერტიურა. ვერ ხედავს, მაგრამ ესმის, როგორ ჟღერს უვერტიურის უკანასკნელი ჰანგი, წარმოიდგენს, როგორ აიღო გოგონამ ხელი კლავიატურიდან, მერე როგორ ავარდა ტაშის გრიალი...იცის, სჯერა, რომ ასეა ახლა დარბაზში, მაგრამ... მაინც ღელავს.

საათს გაჰხედა.

ახლა მოცარტის სონატას უკრავს...

...დღეს ელისო ვირსალაძე საკუთარ პირველ კონცერტს აძლევს. დარბაზი გაჭედილია ხალხით, გასასვლელში ფეხზე დგანან გოგონები და ჭაბუკები—ელისოს ამხანაგები. ამას ვერ ხედავს ელისოს დიდედა და მასწავლებელი— პროფესორი ანასტასია დავითის ასული ვირსალაძე. ამას შემდეგ უამბობენ მას.

მოგონებები სცვლიან ერთმანეთს:

...ელისოს პირველი გამოსვლა ესტრადაზე და ბეთჰოვენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. მეორე როიალის პარტიას მაშინ თვითონ ანასტასია დავითის ასული ასრულებდა...

დიდედა და შვილიშვილი მერე კვლავ წარსდგნენ მსმენელების წინაშე საქართველოს სახელმწიფო კვარტეტთან ერთად. მაშინ ელისომ განაცვიფრა ყველა თავისი ასაკისათვის უჩვეულო, უკვე გამოკვეთილი არტისტული პროფილით, შესრულების გემოვნებით და დახვეწილობით.

შემდეგ შუმანის საფორტეპიანო კონცერტი საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად...

დიდედას ახსენდება ის დრო, რო-



ფოტო დ. იაკობაშვილის

საჯარო ბიბლიოთეკა

დესაც თვითონ ასრულებდა ამ მეტად სერიოზულ და რთულ ნაწარმოებს...

...ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა... ელისო წარმატებით უკრავს ქართველ მუსიკოსთა კონცერტებზე მოსკოვის სხვადასხვა კლუბებსა და დაწესებულებებში... აღფრთოვანებული ლაპარაკობს საბჭოთა და უცხოური საფორტეპიანო სკოლების ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებზე, რომლებსაც მან ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მოუსმინა მოსკოვში! იმ დღეებში არაფერი არ ახსოვდა გოგონას, მოუთმენლად ელოდა შემდეგი დღის გათენებას, რომ მოესმინა ვან კლიბერნის, ვლასენკოს, ლიუ-ში-კუნის ვირტუოზული დაკვრისათვის. დიდხანს გაჰყვა მათგან მიღებული შთაბეჭდილება. დიდედასთან მოირბენდა ელისო, თვალცრემლიანი და ბედნიერი, მუხლებზე ჩაიჩოქებდა მის კალთასთან:

— დიდედა, მეყოფა ერთი სიცოცხლე, რომ ყველაფრის, ყველაფრის დაკვრა მოვასწრო? დავუკრავ ოდესმე ისე, როგორც ისინი?...

მერე იჯდა, საათობით იჯდა როიალთან, გატაცებით უკრავდა, სწვდებოდა გენიალური კომპოზიტორების სულს და გრძნობდა როგორ იზრდებოდა, დღითი-დღე მაღლდებოდა თვითონ.

ყველაფრისთვის პოულობს დროს. ხუთები მოაქვს სკოლიდან. გვიან ღამემდე არ იშორებს წიგნებს. კითხულობს, გატაცებით კითხულობს ვაჟას, ილიას, გალაკტიონს, პუშკინს და ლერმონტოვს, ბალზაკს, დიკენსს, ჰიუგოს და ტოლსტოის, კოლინზს, რემარკს.

...მოცარტის სონატას უკრავს.

მოცარტი...ელისოს ყველაზე საყვარელი კომპოზიტორი...დიდედამ ჩაუნერგა მოცარტის სტილის ასეთი ზუსტი გრძნობა. შეიძლება ამიტომაც უკრავს ასე ამაღლებულად და სადად მოცარტის ორ სონატას (რე-მაჟორი და ლა-მინორი), მაგრამ ამ სისადავის იქით ყოველთვის იგრძნობა თექვსმეტი წლის გოგონას უდიდესი შინაგანი წვა...

...პატარა მაგიდაზე ტელეფონის აპარატი დევს. გვერდით, რბილ სავარძელში მოხუცი პროფესორი ზის. ის ვერ ესწრება თავისი მოწაფის და შვილიშვილის პირველ დიდ კონცერტს...

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილში კონსერვატორიის დირექტორის, იონა ტუსკიას ხმა ესმის:

— ანასტასია დავიდოვნა! ელისომ შესანიშნავად ჩაატარა კონცერტი! მოგილოცავთ!...

მერე ზედიზედ რეკავენ:

— დიდი მადლობა, ანასტასია დავიდოვნა!

— ელისო ნამდვილი პიანისტია!

— მოგილოცავთ...

ყველაზე მეტად კი მოხუცის თვალები ელიან მას, გამხდარ, კოხტა გოგონას. პეპელასავით თეთრ კაბაში და დიდი თაიგულით ხელში შემორბის იგი, ჩაიმუხლებს, თავს კალთაში უდებს:

— დიდედა...

ეს არის ყველაზე დიდი მადლობა და კიდევ ის, რომ შემდეგ ხშირად ნახავს კონცერტიდან დაბრუნებულს ყვავილებით ხელში, გამარჯვებულს...

ნახავს...

წელს მოსკოვში გამართულ ახალგაზრდა პიანისტების საკავშირო კონკურსზე ვინც კი მოუსმინა შუბერტის სოლ-მაჟორ ექსპრომტის, შოპენის ეტიუდის, მოცარტის სონატების ვირსალაძისეულ, ორიგინალურ და ფაქიზ შესრულებას, არ დაავიწყდება ეს დღე...

და ელისო მოხვდა იმ ბედნიერთა რიცხვში, რომლებიც წაველე ვენაში, ფესტივალზე, მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსში.

...თითქოს ყველაფერი მზადაა, თითქოს თვითეული ბგერა თითებშია გამჯდარი, დიდედას მაინც შეაქვს «წვრილმანი» შენიშვნები. ხელში ბეთჰოვენის მეთხუთმეტე პასტორალური სონატა უჭირავს. ელისო როიალს უზის...

— უფრო სადად, უბრალოდ...ეს ხომ სოფლის მოტივებია, ელისო...

და ელისო მერამდენედ იწყებს ტაქტს, ახლა უფრო სადად, ფაქიზად გამოსდის და უფრო იგრძნობა ბეთჰოვენის ამ სონატის მშვიდი, უბრალო ხასიათი...

ამ სონატას სწორედ ასე დაუკრავს ელისო იქ, ვენაში...

კარგად სთქვა მუსიკათმცოდნე გულბაათ ტორაძემ: «ამბობენ, მშობელი შვილში განაგრძობს თავის ცხოვრებას, მასწავლებელი კი თავის მოწაფეებში. ელისო ვირსალაძის მიმართ ეს ორმაგად ითქმის.»

**ლია გოგიშვილი**

# რა დააბერებს!

**ის პირველი ქართველი პროფესორი ქალია, 60-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ლენინის ორდენოსანი ნინო ციციშვილი, რომლის თვალწინ დაიწყა ქართული უნივერსიტეტის აკვანი.**

...ეს იყო 40 წლის წინათ. უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ბატონო პროფესორო, მიმიღეთ თქვენს ასისტენტად.

— კარგი. მაგრამ იცოდეთ, რომ გზა ძნელი იქნება. თქვენ ქალი ხართ... შეგიძლიათ მთელი დრო მოახმაროთ უნივერსიტეტს? ხელფასი ცოტა გექნებათ. იქნებ გადაიფიქროთ?

— არა!

— ნუ აჩქარდებით! რამდენიმე თვის შემდეგ მომეცით პასუხი.

...და რამდენიმე თვის შემდეგ ქალიშვილმა მიიღო უნივერსიტეტში თანამშრომლობის უფლება.

მოხუცი იყო უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი, ახალგაზრდა—ნინო ციციშვილი.

...მყუდრო, სადად მორთული ოთახის კედელზე ნინოს მშობლების პორტრეტებია: სოლომონ ციციშვილი — ილია ჭავჭავაძის მდივანი, მისი მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნისას. ანა ბენეში—ცნობილი ჩეხი მევიოლინე...

— რა ქართველები იქნებით თქვენ, თუ კარგად არ გეცოდინებათ მშობლიური ენა. ილაპარაკეთ და იკითხეთ ქართულად და მასწავლეთ მეც.—მოითხოვდა დედა შვილებისაგან. ეს სიტყვები დღესაც ახსოვს ნინოს. არც წმინდა ნინოს მონასტერი და მისი დაწყებითი სასწავლებელი ავიწყდება, არც ის, თერთმეტი წლისა რუს და უცხოელ დამთვალიერებლებს ძეგლის ისტორიას რომ უყვებოდა და რამდენადაც შეეძლო მსჯელობდა ქართველთა უძველეს კულტურაზე. განცვიფრებული მსმენელი... ხელის ჩამორთმევა და დიდი მომავლის წინასწარმეტყველება. შემდეგ თბილისი, გიმნაზიის მედალზე დამთავრება, პედაგოგ-მათემატიკოსის სპეციალობის მიღება, დაუცხრომელი სურვილი უმაღლესი განათლების მიღებისა. მალე ოცნების ახდენა—სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია და გზა ლენინგრადისაკენ, ახალი პერსპექტივები...

• • •

პ. მელიქიშვილი თბილისში ქიმიურ სასწავლო-საკვლევ ლაბორატორიას აარსებს. ლაბორატორიის მოწყობის სიმძიმე ნინოს აკისრია. მთელი დღეები ფუსფუსებს, მეტწილად თავისი ხელფასით ყიდულობს საჭირო რეაქტივებს ქიმიკოსთა მომავალი სამჭედლოსათვის, მის გვერდითაა მისი განუყრელი მეგობარი და მეუღლე მექი ბექაია.

«ძვირფასო და საყვარელო ნინო! — იწერებოდა პეტრე მელიქიშვილი ბორჯომიდან, — სიტყვით ვერ შევძლებ გამოვხატო, რამდენად მადლობელი და ბედნიერი ვარ, რომ მყავს ისეთი მეგობრები, როგორიც თქვენ და მექი ბრძანდებით, უთქვენოდ ჩემს ლაბორატორიაში ყოფნა შეუძლებელი იქნებოდა.» .

პეტრე მელიქიშვილთან ერთად ნინო მონაწილეობას იღებს პირველი ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის შედგენაში, ამზადებს პირველ კონსპექტებს სტუდენტებისათვის. 1926 წელს პეტრე მელიქიშვილის წინადადებით ნიჭიერი და მომზადებული ახალგაზრდა სპეციალისტი დაინიშნა დოცენტის თანამდებობაზე ორგანულ ქიმიაში. ერთი წლის შემდეგ კი ნინომ მწარედ განიცადა საყვარელი პროფესორის დაკარგვა... გადაწყვიტა გაეგრძელებინა მისი საქმე.

ნინოს ნიშნავენ უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ, 3 წლის შემდეგ კი პროფესორია. მოსაგვარებელია კადრების საკითხი, კათედრაზე კარგი სპეციალისტებია საჭირო. უნდა შეარჩიონ ნიჭიერი ახალგაზრდები და გაგზავნონ რუსეთში. თანხები? გამოიძებნება.

დღეს თბილისის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრაზე ქიმიის მეცნიერებათა ოთხი დოქტორია, ყველა დანარჩენს კი დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია. ეს ნინოს დიდი შრომის შედეგია.

ამ რამდენიმე წლის წინათ ყველასათვის მოულოდნელად ნინომ კათედრა თავის ყოფილ მოწაფეს პროფესორ ი. გვერდწითელს გადააბარა.

— მინდა სიცოცხლეში ვნახო, როგორ იმუშავებენ ისინი ჩემს შემდეგ,—ასეთი იყო ნინოს სურვილი. უფრო ადრე კი, სამამულო ომის მძიმე დღეებში. ნინომ ლენინგრადიდან ევაკუირებული მისი ყოფილი პროფესორი ი. ზალკინდი თავის კათედრაზე სამუშაოდ მიიწვია. დარწმუნებული იყო, რომ ეს სარგებლობას მოუტანდა საქმეს. ნინო მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების პირველი მდივანი, ხოლო შემდეგ კი დღემდე პრეზიდიუმის თავმჯდომარის უცვლელი მოადგილეა. მისი ხელმძღვანელობით თარგმნილი და გამოცემულია 6 სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის. ნინო მუშაობს სატერმინოლოგიო კომისიებში, ეხმარება საშუალო სკოლებს ქიმიის კაბინეტების მოწყობაში. კომუნისტი პროფესორი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

საქართველო განთქმულია ჩაითა და ციტრუსებით, ღვინითა და ხილით, ბოსტნეულით, მათზე მრავალი მეცნიერული შრომა დაიწერა. ნინო თავის მოწაფეებთან ერთად იკვლევს მათ ქიმიურ შედგენილობას, განსაკუთრებით ვიტამინურობას, ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ნინოს მრავალრიცხოვანი [illegible] ძირითადი ნაწილი. მეცნიერმა ქალმა აღმოაჩინა ნახევრად პარაზიტი მცენარე—ფითრის მდიდარი C ვიტამინურობა, რამაც ბიძგი მისცა ქართველ მედიცინის მუშაკებს შეესწავლათ და დაედგინათ ფითრის, როგორც წნევის საუკეთესო საშუალების, სამკურნალო თვისებანი.

ბოლო ხანებში ნინო გამოკვლევებს აწარმოებს საქართველოს მცენარეული ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებზე პენტოზანების რაოდენობრივი შემცველობის დასადგენად ფურფუროლის მიღების მიზნით, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა მაღალმოლეკულური ნაერთების: პლასტმასების, სინთეზური ბოჭკოსა და სხვათა მისაღებად.



• • •

მაგიდაზე წერილების გროვაა.

ნინოს შვილი არა ჰყავს, მაგრამ წერილებში ხშირად შეხვდებით: «თქვენი შვილი», «ჩვენო დედავ», «დედაზე უფრო საყვარელო».

«...ძლიერ დავალებული ვარ თქვენგან. მივიღე თქვენი დახმარება, რამაც მორალურად გამამხნევა. ძლიერ მეუხერხულება, რომ შეწუხდით. შვილი რომ გყავდეთ, მას გადავუხდიდი, თუმცა ყველა საუკეთესო მომავალი სპეციალისტი თქვენი შვილია და ამიტომ ვეცდები ჩვენს მამულს სირცხვილი არ ვაჭამო...» ბარათს ხელს აწერს ა. ნოლაიდელი—ამჟამად ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

• • •

უკან 70 წელია—ჭირნახულიანი, სახელოვანი. წინ—კიდევ გრძელი გზა.

— დავბერდი,—იტყვის ხოლმე ნინო, მაგრამ სად ცალია დასაბერებლად. დღეს ხომ ქიმიის ზეიმია და რამდენი რამა აქვთ გასაკეთებელი ქართველ ქიმიკოსებსაც. რა დააბერებს, როცა უნივერსიტეტის აუდიტორიაში ასეთი მოკრძალებული ღიმილით ეგებება მას ყოველ დილით ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავლის ყლორტები—ახალგაზრდობა.

**მანანა ლიჩაავა**

# ფოთი

## ისწრაფვით — შვიდწლედისათვის მებრძოლებია

**ახლა ერთი საფიქრალი აქვთ საბჭოთა ადამიანებს: ხორცი შეასხან შვიდწლედის გრანდიოზულ ამოცანებს, დააჩქარონ ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ. ამ ფიქრით ცხოვრობენ და შრომობენ ფოთის საწარმო-დაწესებულებათა და სოფლის მეურნეობის მუშაკებიც. შვიდწლედისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მრავალი ქალია. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.**

* * *

სად არ ნახავთ ფოთის მიწისმწოვი დანადგარების ქარხნის მიერ გამოშვებულ მიწისმწოვ მანქანებს, მოძრავ სატუმბავ სადგურებს, ექსკავატორის ციცხვებს — შუა აზიის რესპუბლიკებში, შორეულ აღმოსავლეთში, ბალტიისპირეთში, ჩინეთში. ყამირზეც შეხვდებით ხისა და ლითონის 14-საწოლიან მოძრავ სახლებს, მათაც ფოთის მიწისმწოვი დანადგარების ქარხნის მარკა აკრავს. წლითიწლობით იზრდება ქარხნის წარმადობა — წელს 10 მილიონ 300 ათასი მანეთის საერთო და ამდენივე სასაქონლო პროდუქციას გამოუშვებს. 1965 წლისათვის ეს მონაცემები თითქმის 7-ჯერ გაიზრდება.





ეს სერიოზული ამოცანაა ახალგაზრდა ქარხნის კოლექტივისათვის, რომლის თვალსაჩინო ბირთვს გუშინდელი საშუალო სკოლის მოსწავლეები წარმოადგენენ. ერთი იმათგანია ეს გოგონაც, კომკავშირელი სვეტლანა სიხარულიძე. გასულ წელს მოვიდა იგი აქ პირდაპირ საშუალო სკოლის მერხიდან და სულ მცირე დროში შეისწავლა ელექტროშემდუღებლის რთული პროფესია, დაოსტატდა და ახლა გეგმებს 160—180 პროცენტით ასრულებს, უნაკლოდ ადუღებს მანქანების დეტალებს და შვიდწლედის ფონდში თავისი წვლილი შეაქვს.

* * *

მძიმედ ეშვება დაბლა უზარმაზარი ამწე, მცირეხანს ყოვნდება, შემდეგ წყალში იმართება, შემობრუნდება და ისევ ძირს ეშვება. ამწეზე ქალი ზის, ფოთის ნავსადგურის მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენე კაზაკევიჩი. (ამ სურათზე თქვენ ხედავთ მას). დინჯი ქალის მტკიცე ხელი მართავს მანქანას, ერთბაშად რომ გადააქვს 5 ტონა ტვირთი ხან გემზე და ხან ნაპირზე. შესანიშნავად დაუფლებია ელენე კაზაკევიჩი მეამწის რთულ პროფესიას. დღიური გეგმის 150—200 პროცენტით შესრულება მისთვის ჩვეულებრივ საქმედ ქცეულა. ყოფილა ისეთი დღეც, როცა 3 საათში 110 ტონის ნაცვლად 250 ტონა რკინის მადანი გადმოუტვირთავს და ნორმა 252,6 პროცენტით შეუსრულებია.

გადააქვს და გადმოაქვს ელენე კაზაკევიჩს ხორბალი თუ შაქარი, ფქვილი თუ ბამბა, რკინის მადანი თუ ნახშირი და თავისი წვლილი შეაქვს ფოთის ნავსადგურის მიერ ტვირთის გადამუშავების გეგმის შესრულებაში, რომლის დღიური ოდენობა 12 ათასიდან 20 ათას ტონამდე აღწევს.

* * *

ვინ არის თქვენთან მოწინავე მეცხოველე, რომ იკითხოთ პატარა ფოთის მელორეობის საბჭოთა მეურნეობაში, პირველ რიგში თათული ფოჩხუას დაგისახელებენ. არ იფიქროთ, რომ იგი აქ დიდიხანია მუშაობს. მხოლოდ შარშან, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. პირველად მემინდვრეობის ბრიგადაში იყო, შეიძლება იმიტომ, რომ აქვე მუშაობდნენ მისი დედა და უფროსი და. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისი ადგილი სხვა უბანზე იყო: პარტიამ სოფლის მეურნეობის მუშაკებს მოსთხოვა მეცხოველეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ... და მიმდინარე წლის დამდეგს თათულიმ ფერმაში გადასვლა გადაწყვიტა. დედალორებს მოუვლი, გოჭებს დავზრდი და ჩემს წილს შევიტან ხორცით და მისი პროდუქტებით მშრომელთა მომარაგების საქმეში. 15 დედალორის უვლის კომკავშირელი ქალიშვილი. როცა მეურნეობის კოლექტივი პარტიის XXI ყრილობის შედეგებს იხილავდა, სხვა ვალდებულებებთან ერთად თვითეულ დედალორზე (მათი რიცხვი მეურნეობაში 150-ია) 14 გოჭის გამოზრდა იკისრა. თათულიმ ეს იცოტავა, მე 16 გოჭს გამოვზრდიო. პირველი მოგებიდან საშუალოდ ერთ დედალორზე უკვე 8 გოჭი ჰყავს. წლის ბოლომდე კიდევ ორი მოგება იქნება, ვინ იცის, იქნებ კიდეც გადააჭარბოს ვალდებულებას.

საღამოს ფერმიდან დაბრუნებული, ხშირად შეივლის კანტორაში, თვალს მოავლებს კედელზე გაკრულ მეცხოველეთა ვალდებულებებს: ჩავაბაროთ წელს სახელმწიფოს 900 ცენტნერი ხორცი, აქედან 700 ცენტნერი ღორის, 70 ცენტნერი ფრინველის, მივცეთ 1000 ცენტნერი რძე, მივიღოთ თითო საფურაჟე ძროხაზე 1.300 კგ რძე, ყოველ 100 ძროხაზე გამოვზარდოთ 90 ხბო, თითო დედალორზე — 14 გოჭი, თითო კვერცხმდებელი იხვიდან მივიღოთ 70 კვერცხი. სჯერა თათულის, რომ არ შერცხვებიან ქვეყნის წინაშე.





# ფოთი

**ტექსტი მირცა კალანდაძის**



* * *

ეს ზურმუხტისფერთვალება გოგონა ლეილა ცხოიძეა. შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და ბევრი არ უფიქრია — წარმოებაში დაიწყო მუშაობა. კომუნიზმის მშენებლობაზე მეც მივიტან ერთ აგურსო, თქვა და წისქვილკომბინატში წავიდა. რითია სხვაზე ნაკლები ეს საწარმო? პირიქით, ხალხს თუ პური არ მიაწოდე, კომუნიზმიც არ აშენდება. და აი, ლეილა ცხოიძე, ფოთის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და სატარე საამქროს კომკავშირის ჯგუფორგი, 30 დობილთან ერთად ნახმარ ტომრებს არემონტებს და აახლებს, შემდეგ პირთამდე რომ ავსებენ კომბინატში დაფქვილი პურის ფქვილით და დასავლეთ საქართველოს რაიონების მშრომელებს უგზავნიან. ლენიადაგ მოწინავეთა დაფას ამშვენებს კომკავშირელი ქალიშვილის სახელი — გეგმის 140, 145, 150 პროცენტით შესრულება — ასეთია მისი ყოველდღიური შრომითი მაჩვენებელი.

თუ კომბინატი წელს 176 მილიონ 256 ათასი მანეთის საერთო პროდუქციას გამოუშვებს, შვიდწლედის ბოლოს, 1965 წელს ქვეყანას მისცემს 233 მილიონ 356 ათასი მანეთის პროდუქციას. ამ საერთო ფონდში ლეილა ცხოიძის წვლილიც იქნება.



* * *

ეს მანდილოსანი ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშაკი ალექსანდრა კორტავაა, აგრონომი და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი. მუშაკთ ითქმის, თორემ მეურნეობა ალექსანდრას მეორე ოჯახად ქცეულა. ოცი წელია უვლის და ულოლიავებს იგი ციტრუსთა ნარგავებს, ოცი წელია იზიარებს კოლექტივის ჭირსა და ლხინს. მის თვალწინ გაიზარდა და გაფართოვდა მეურნეობა, შარშან 600 ათასი ცალის ნაცვლად 850 ათასი ცალი მარტო ციტრუსოვანთა სტანდარტული ნაყოფი რომ ჩააბარა სახელმწიფოს, 620 ათასი ცალი ალექსანდრა კორტავას ბრიგადის წილად მოდიოდა. ალექსანდრას მონაწილეობით შემუშავდა საბჭოთა მეურნეობის შვიდწლედი, რომელიც უკვე მოქმედებაშია: თუ წელს მეურნეობის მუშაკებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ ერთი მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1965 წლისათვის სამ მილიონ ოთხასი ათასი ცალი ნაყოფის ჩაბარებას ითვალისწინებენ. შვიდწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებშია კომუნისტური შრომის ბრიგადა 35 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ალექსანდრა ხელმძღვანელობს. 455 ათასი ცალი ციტრუსის ჩაბარება — ასეთი იყო ბრიგადის წლევანდელი გეგმა, 586 ათასი ცალი ციტრუსის ჩაბარება — ასეთია ნაკისრი ვალდებულება. ახლა პლანტაციებს უვლიან, რომ ტანი აიყარონ ნარგავებმა, მეტი ნაყოფი დამწიფდეს და კომუნიზმისათვის მებრძოლ ადამიანთა სუფრა დაამშვენოს ალექსანდრასა და მისი მეგობრების მიერ მოწეულმა ციტრუსებმა.

* * *

როცა სავაჭრო ტექნიკუმი ფრიადზე დაამთავრა და გასტრონომიულ მაღაზიაში სექციონერად დაიწყო მუშაობა, ბევრს გაუკვირდა: რა გაუჭირდა მანია კილასონიას ისეთი, სწავლა რომ არ გააგრძელაო. ქალიშვილი კი სხვანაირად ფიქრობდა: შრომით ქვეყანას ვარგებ, სწავლას კი დაუსწრებლადაც შევძლებო.



შეხვალთ მაღაზიაში და თქვენს ყურადღებას მიიპყრობს საკონდიტრო ნაწარმის სექცია. მყისვე შეიმჩნევა სისუფთავე და წესრიგი, გამყიდველთა კულტურა. სამი ქალიშვილი, სამი კომკავშირელი ზრდილობიანად ეგებება მომხმარებელს. შეუმჩნეველი არ რჩება მანიასა და მისი მეგობარი ქალიშვილების პატიოსანი, უნაღო შრომა. მანიას თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში. სწავლობს კიდეც — დაუსწრებელი სავაჭრო-ეკონომიური ინსტიტუტის III კურსის წარჩინებული სტუდენტია, სწავლობს, რომ შემდეგ უფრო უკეთესად ემსახუროს მშობელ ხალხს.

* * *

კოხტა და ლაზათიანი ჩაცმა კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ბუნებრივ მოთხოვნილებად არის გადაქცეული. შვიდწლიანი გეგმა ამ მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

5 წელია ამ საქმეს ემსახურება ეს ახალგაზრდა ქალიც — ალბინა რურუა. ფოთის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ტანსაცმელის მასობრივ სამკერვალო საამქროში იგი მოზარდების ტანსაცმელს, მამაკაცების პიჯამოებს, პერანგებსა და შარვლებს კერავს.



მისი შეკერილი ტანსაცმელი აცვიათ როგორც ფოთის, ისე ბათუმის მშრომელებს.

სამკერვალო საამქრო მოწინავეა მთელს კომბინატში, ალბინა კი მოწინავე საამქროს მოწინავე მკერავია. გეგმის ერთიორად, ზოგჯერ ერთისამად შესრულება მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. შვიდწლედში საამქრო თანდათან გაზრდის პროდუქციის გამოშვებას, გაიზრდება ალბინა რურუას მიერ შეკერილი ტანსაცმლის მომხმარებელთა რაოდენობაც.

# თეთრი სპილოებს გვანან, სერები



ერნესტ ჰემინგუეი

მხატვარი დ. ერისთავი

ცნობილი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედებაში აისახა კაპიტალისტური სამყაროს ომისშემდგომი თაობების სულიერი კრიზისი, მათი უპერსპექტივობა. ჰემინგუეი ხედავს მის გარშემო არსებული სინამდვილის უარყოფით, სასტიკ და ზოგჯერ საზარელ მხარეებს, მაგრამ მას სწამს ადამიანის ძალა, სიკეთე და სიცოცხლისუნარიანობა, რაც შესანიშნავი ოსტატობით აჩვენა მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა", რომელსაც ქართველი მკითხველი კარგად იცნობს.

მოთხრობაში „თეთრ სპილოებს გვანან სერები" კი მწერალმა დახატა ამერიკელი ინტელიგენტის გამოფიტული, უშინაარსო ცხოვრება და მისი მსხვერპლი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც შედგა ფეხი საზოგადოებაში და... დაიმსხვრა ილუზიები, გაფუჭდა ცხოვრება, ალბათ სამუდამოდ...

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სერები ებროს ველს გადაღმა იყო თეთრი და გრძელი. გამოღმა არც ხე იყო, არც ჩრდილი და პატარა სადგური ლიანდაგებს შორის პირდაპირ მზეში იდგა. მხოლოდ შენობის კედელს აკვროდა მხურვალე ჩრდილი და ბარის ღია კარებში ბამბუკის ღეროებისაგან გაკეთებული ფარდა ეკიდა. ამერიკელი კაცი და ქალიშვილი გარეთ, შენობის ჩრდილში, მაგიდას უსხდნენ. ძალიან ცხელოდა. ექსპრესს ბარსელონიდან ორმოც წუთში უნდა გამოევლო. ის ორ წუთს ჩერდებოდა ამ სადგურში და შემდეგ მადრიდში მიდიოდა.

— რა დავლიოთ?—იკითხა ქალიშვილმა. მან ქუდი მოიხადა და მაგიდაზე დადო.

— კარგა მაგრა ცხელა!—თქვა კაცმა.

— მოდი, ლუდი დავლიოთ.

— «Dos servezas*»—თქვა კაცმა და ფარდა გადასწია.

— დიდი ჭიქები?—ღია კარებიდან იკითხა ქალმა.

— დიახ, ორი დიდი ჭიქა.

ქალმა ორი ჭიქა ლუდი და ორი ქეჩის სადგამი გამოიტანა. ქეჩები მაგიდაზე დააწყო, ზედ ჭიქები დადგა და კაცსა და ქალიშვილს შეხედა.

ქალიშვილი სერების გრეხილს გასცქეროდა. ისინი თეთრად მოჩანდნენ მზეზე. ირგვლივ მიდამო კი ყავისფრად იყო გადამწვარი.

— თეთრ სპილოებს ჰგვანან,—თქვა მან.

— არასდროს არ მინახავს თეთრი სპილო,—კაცმა გამოცალა თავისი ჭიქა.

— შენ რას ნახავდი!

— რატომაც არა? შენი ნათქვამი სრულიად არაფერს ნიშნავს.

ქალიშვილმა ბამბუკის ფარდას შეხედა.

— რაღაც აწერია,—თქვა მან,—რას ნიშნავს?

— «Anis del toro», სასმელია ასეთი,—თქვა კაცმა.

— ხომ არ გავსინჯოთ?

— მოგვხედეთ!—გასძახა კაცმა.

ბარიდან ქალი გამოვიდა.

— ოთხი რეალი მერგება,—თქვა მან.

— მოგვიტანეთ ორი Anis del toro.

— წყლით?

— შენ როგორ გინდა?

— არ ვიცი,—თქვა ქალიშვილმა,—გემრიელია წყლით?

— არა უშავს.

— მაშ როგორ? წყლით?—იკითხა ქალმა.

— დიახ, წყლით...

— ძირტკბილას გემო აქვს,—თქვა ქალიშვილმა და ჭიქა დადგა.

— აი, ყველაფერი ასეა.

— ჰო, ასეა,—თქვა ქალიშვილმა,—ყველაფერს ძირტკბილას გემო აქვს. განსაკუთრებით იმას, რასაც ასე დიდხანს მოელი.

— კარგი, გეყოფა!—თქვა კაცმა.

— შენ თვითონ დაიწყე,—თქვა ქალიშვილმა,—მე მშვენივრად ვერთობოდი. თავს ვიქცევდი როგორც შემეძლო.

— მოდი, შევეცადოთ კარგად გავატაროთ დრო.

— მე აკი შევეცადე. ვთქვი, რომ სერები თეთრ სპილოებს გვანან. განა ცუდად ვთქვი?

— საუცხოოდ.

— მე მინდოდა გამესინჯა ეს ახალი სასმელი. ჩვენ მეტს რას ვაკეთებთ. დავსეირნობთ და ახალ-ახალ სასმელებს ვსინჯავთ.

— ჰო, ასეა.

ქალიშვილმა სერებს გახედა.

— ლამაზი სერებია,—თქვა მან,—მართლაც არ გვანან თეთრ სპილოებს. მე უბრალოდ გავიფიქრე, რომ ხეებს შორის ისინიც ასე თეთრად გამოჩნდებოდნენ.

— ხომ არ დაგველია კიდევ?

— შეიძლებოდა.

თბილმა ნიავმა მაგიდისკენ შეაქანა ბამბუკის ფარდა.

— კარგი ლუდია, ცივი,—თქვა კაცმა.

— მშვენიერია,—თქვა ქალიშვილმა.

— ეს ნამდვილად იოლი ოპერაციაა, ჯიგ,—თქვა კაცმა,—ოპერაცია არც არის.

ქალიშვილმა თავი დახარა და მაგიდის ფეხს მიაშტერდა.

— არაფერია, ჯიგ, შენ თვითონ ნახავ... ნემსს გაგიკეთებენ მხოლოდ.

ქალიშვილი ხმას არ იღებდა.

— მეც წამოვალ და სულ შენთან ვიქნები. გაგიკეთებენ ნემსს და მერე ყველაფერი კარგად იქნება.

— მერე ჩვენ რა მოგვივა?

— მერე ყველაფერი კარგად იქნება. ყველაფერი ძველებურად წავა.

— რატომ გგონია, ასე?

— ჩვენ მხოლოდ ეს გვიშლის ხელს. მხოლოდ ამიტომ ვართ უბედურები.

ქალიშვილმა ფარდას შეხედა. ხელი გაიწვდინა და ბამბუკის ორი ღერო დაიჭირა.



— შენ გგონია, მერე კარგად და ბედნიერად ვიქნებით?

— დარწმუნებული ვარ. მხოლოდ შენ ნუ გეშინია. მე ბევრს ვიცნობ, ვისაც ეს გაუკეთებია.

— მეც,—თქვა ქალიშვილმა,—და შემდეგ ყველანი ბედნიერები იყვნენ.

— თუ შენ არ გინდა, ნუ გაიკეთებ. ძალას არ გატან. მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ძალზე იოლია.

— შენ მართლა გინდა?

— მე მგონი, ეს არის საუკეთესო გამოსავალი. მაგრამ თუ შენ არ გინდა, მაშინ არაა საჭირო, მე სრულებითაც არ მინდა ეს.

— თუ ამას გავიკეთებ, შენ ბედნიერი იქნები? ყველაფერი ძველებურად დარჩება და გეყვარები?

— მე ახლაც მიყვარხარ. შენ იცი ეს.

— ვიცი. მაგრამ თუ ამას გავიკეთებ, ისევ ყველაფერი კარგად იქნება და თუ ვიტყვი, რომ სერები თეთრ სპილოებს ჰგვანან, მოგეწონება?

— მომეწონება. ახლაც ძალიან მომწონს. მხოლოდ ამ წუთს ამაზე ფიქრი არ შემიძლია. ხომ იცი როგორი ვარ, როცა ვწუხვარ.

— თუ გავიკეთებ, შენ აღარ შეწუხდები?

— არა, იმიტომ, რომ ეს ძალზე იოლია.

— მაშინ გავიკეთებ. ჩემთვის სულერთია რაც მომივა.

— რა გინდა მაგით თქვა?

— სულერთია რაც მომივა.

— მაგრამ ჩემთვის არ არის სულერთი.

— რა თქმა უნდა... მაგრამ მე არ ვფიქრობ ჩემს თავზე. გავიკეთებ და შემდეგ ყველაფერი მშვენივრად იქნება.

— მე არ მინდა გაიკეთო, თუ შენ ასე განიცდი,—თქვა კაცმა.

ქალიშვილი წამოდგა და ბაქანის ბოლომდე გაიარა. იქეთ მხარეს ებროს ნაპირებს პურის ყანები და ხეები მიუყვებოდა. შორს, მდინარის იქეთ, მთები მოჩანდა. ყანებზე ღრუბლების ჩრდილი გადადიოდა და ხეებს შორის მან დაინახა წყალი.

— შეიძლებოდა ყველაფერი ჩვენი ყოფილიყო,—თქვა მან.—ყველაფერი ჩვენი ყოფილიყო; მაგრამ ჩვენ ამას ყოველდღე უფრო და უფრო შეუძლებელს ვხდით.

— რა თქვი?

— მე ვთქვი—შეიძლებოდა ყველაფერი ეს ჩვენი ყოფილიყო.

— ისედაც ყველაფერი ჩვენია.

— არა, არ არის ჩვენი.

— მთელი სამყარო ჩვენია.

* ორი ჭიქა ლუდი (ესპ.)

— არა. არ არის ჩვენი.

— ჩვენ შეგვიძლია ყველგან წავიდეთ.

— არა, არ შეგვიძლია. უკვე აღარაფერი არ არის ჩვენი.

— ჩვენია.

— არა, არ არის. რასაც ერთხელ დაკარგავ, იმას ვერასოდეს ვერ დაიბრუნებ.

— ჩვენ ჯერ არაფერი დაგვიკარგავს.

— აი, ვნახავთ.

— დავბრუნდეთ ჩრდილში,—თქვა კაცმა,—ნუ ღელავ ასე.

— სულ არ ვღელავ,—თქვა ქალიშვილმა,—უბრალოდ, მე ყველაფერი მესმის.

— მე არ მინდა გაიკეთო ის, რაც შენ თვითონ არ გინდა.

— არც ის, რაც ჩემთვის ცუდია,—თქვა ქალიშვილმა,—ვიცი. ხომ არ დავლიოთ კიდევ?

— დავლიოთ... მაგრამ შენ უნდა გაიგო...

— გავიგე,—თქვა ქალიშვილმა,—მოდი, თავი დავანებოთ ამ ლაპარაკს.

ისინი მაგიდას მიუსხდნენ. ქალიშვილმა სერებს გახედა, კაცი კი მას და მაგიდას დააცქერდა.

— შენ უნდა გაიგო,—თქვა კაცმა,—რომ მე არ მინდა გააკეთო ის, რაც შენ თვითონ არ გინდა, მაგრამ მე მზად ვარ შევეგუო ყველაფერს თუ კი ეს შენთვის რაიმეს ნიშნავს.

— შენთვის არაფერს ნიშნავს? როგორმე გავართმევდით თავს.

— რა თქმა უნდა, ნიშნავს, მხოლოდ მე შენს მეტი არავინ მინდა, სრულიად არავინ. თანაც ვიცი, რომ ეს ძალზე ადვილია.

— რასაკვირველია. შენ იცი, რომ ეს ძალზე ადვილია.

— შენ ყველაფრის თქმა შეგიძლია, მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ასეა.

— შეგიძლია ერთი თხოვნა შემისრულო?

— ყველაფერს შეგისრულებ.

— მაშ, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან გთხოვ გაჩუმდე.

კაცმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გახედა სადგურის კედელზე მიყუდებულ ჩემოდნებს, რომლებსაც დაკრული ჰქონდა ყველა სასტუმროს ქვითარი, სადაც მათ ღამეები გაეთიათ.

— მე არ მინდა შენ ეს გაიკეთო,—თქვა კაცმა,—მე ეს სრულიადაც არ მჭირდება.

— ახლა ვიკივლებ.—თქვა ქალიშვილმა.

ფარდის იქედან ქალი გამოვიდა და ლუდიანი ჭიქები სველ ქეჩებზე დადგა.

— მატარებელი ხუთ წუთში ჩამოდგება,—თქვა მან.

— რაო?—იკითხა ქალიშვილმა.

— თქვა, რომ მატარებელი ხუთ წუთში მოვა.

ქალიშვილმა ქალს გაუღიმა.

— უმჯობესია ჩემოდნები იქეთ მხარეს გადავიტანო,—თქვა კაცმა.

ქალიშვილმა მასაც გაუღიმა.

— კარგი. მერე მოდი და ლუდი დავლიოთ!—თქვა მან.

კაცმა აიღო ორი მძიმე ჩემოდანი, სადგურს შემოუარა და მეორე ლიანდაგთან მიიტანა. გახედა ლიანდაგს, მაგრამ მატარებელი არ ჩანდა. აქეთობას ბარში გამოიარა. მატარებლის მოლოდინში მგზავრები ლუდს სვამდნენ. დახლთან ერთი Anis del toro გადაჰკრა და მგზავრებს გადახედა. ყველანი მოთმინებით ელოდნენ მატარებელს. კაცმა გადასწია ბამბუკის ფარდა. ქალიშვილი მაგიდასთან იჯდა და უღიმოდა.

— უკეთ გრძნობ თავს?—იკითხა კაცმა.

— მშვენივრად,—თქვა ქალიშვილმა,—ყველაფერი რიგზეა. მშვენივრად ვგრძნობ თავს.

**ინგლისურიდან თარგმნა**

**მაია ნაჭაძემ**



ლიდა მატისოვა—მ. ჩახავა



ლიდა მატისოვა—მ. ჩახავა, პეტრი—პეტრუხი—რ. ჩხიკვაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული—ეს არ არის ახალი თემა, არც ძველია... იგი იყო და დარჩა ყველა დროისა და ყველა ერის მწერლობისათვის უკვდავ თემად... ცხოველმყოფელ, მომხიბვლელ ძალად სიცოცხლისათვის.

ყოველი ეპოქის ყოველ დიდ მწერალს ძვგლი ალუმართავს მისთვის და მაინც სათქმელი კიდევ არის საინტერესო, ამაღელვებელი...

სწორედ ეს დიდი გრძნობა დაუდო საფუძვლად პავლე კოჰოუტმა, ახალგაზრდა ჩეხმა პოეტმა, თავის პიესას «როცა ასეთი სიყვარულია», რომელიც ღრმა შთაგონებით განასახიერა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა. დამდგმელმა მ. თუმანიშვილმა ფრთები შეასხა პოეტის ჩანაფიქრს და ამაღელვებელ სპექტაკლად წარმოუდგინა იგი ქართველ საზოგადოებას.

პ. კოჰოუტი თავისებურად ავითარებს პიესის სიუჟეტს... ამბავი უკვე მოხდა. შედეგი: მოკვდა ადამიანი, დაინგრა ოჯახი, დასნეულდა პიროვნება.

როგორ წარიმართნენ მოვლენები, რა გრძნობებმა მიიყვანეს ადამიანები აქამდე? ყველაფერი, თვითეული დეტალი ცოცხლდება პიესაში. კაცი მანტიით, როგორც მსაჯული უზენაესი, მოუსყიდველი და მიუკერძოებელი, ვითარცა პატიოსნება და სინდისი, წარმართავს, განსჯის ამ ადამიანების ყოველ მოქმედებას.

ჩადენილია უდიდესი დანაშაული—თვითმკვლელობა... დამნაშავე და დაღუპული არის ქალიშვილი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა კაცი — ნამდვილი, დიდი ადამიანური გრძნობით. და უცებ იგი დარწმუნდა, რომ დაკარგა ამის უფლება. რად? ვინ მიიყვანა იგი აქამდე? საზოგადოებამ, წრემ, მეგობრებმა თუ საკუთარმა მემ? ვინ დაუშვა შეცდომა? ვინ იყო გულგრილი ყველაზე გადამწყვეტ წუთებში?

... ცხოვრება მიდის თავისი გზით. ერთურთს ეჯახებიან ადამიანთა გრძნობები, ვნებანი, შეხედულებანი, წარმოდგენანი... მოვლენების რთულ ხლართში მწერალი არ კარგავს უშუალობას, არ ღალატობს სიმართლეს, არ ღალატობს ცხოვრებას. ამიტომაც არის ნაწარმოები ასე დამაჯერებელი.

ხშირად ადამიანი სცოდავს, ჩადის ისეთ დანაშაულს, რომლის გასამართლება შემუშავებული კანონებით შეუძლებელი ხდება. ზოგჯერ იგი ამას შეუგნებლად, თავისი უმეცრებით აკეთებს... და მსხვერპლად ეწირება მართალი ადამიანი, ჭეშმარიტი გრძნობა... ასე მოუვიდა ლიდა მატისოვას, პიესის ერთერთ მთავარ გმირს, სასოწარკვეთის წუთებში მან მოიკლა თავი და მაინც ბრალდებისაგან განთავისუფლებულ იქნა იგი, რადგან ლიდა შეეწირა სიყვარულის უძლეველ გრძნობას...



კაცი მანტიით—ს. ზაქარიაძე, ლიდა პეტრუხოვა—ს. ყანჩელი.

შესანიშნავია სპექტაკლში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მედეა ჩახავა, რომელიც დიდი გრძნობით და უშუალობით ანსახიერებს ლიდა მატისოვას სახეს.

შთაგონებითა და ღრმა განცდით ანსახიერებენ პ. კოჰოუტის პიესის გმირებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თამარ თარხნიშვილი და სალომე ყანჩელი, მსახიობები რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე და სხვები.

სამი საათის მანძილზე ფარდა ეშვება ერთხელ. სპექტაკლი მთავრდება. მიდიან ყველანი და ფიქრი ნანახზე მიჰყვებათ თან. «ასეთია ცხოვრება», «ასეთია სიყვარული», «ასეთია ადამიანი», ამბობენ, მსჯელობენ...

პიესისა და სპექტაკლის გამარჯვებაც ეს არის სწორედ.

**მ. ქვარაცხელია**



# თავს იწონებენ მაყრები

მერი ადამია

ვერ იცილებდა ფიქრს ვაჟი იმ მკვირცხლ, მიუკარებელ გოგონაზე. ლაჩრობას სწამებდა თავს ის, ვის ძალასაც ბევრი ვაჟკაცი შენატროდა და ვისაც სოფელმა ოქროსხელება ოსტატი შეარქვა!

ამ დილითაც მზის ამოსვლას დაასწრო არქიპო ნაჭყებიამ და კოლმეურნეობაში გაჩნდა. მალე გზაზე ტატიანა გამოჩნდა. ჩაის პლანტაციისაკენ მიიჩქაროდა ქალიშვილი. ნიავივით ჩაუქროლა მშენებლებს და გულღიად მიესალმა. არქიპო ერთი წუთით შეყოყმანდა, მერე მოსწყდა ადგილს და ქალიშვილს დაედევნა.

— ეს წერილი შენია!—ხელში ქაღალდი მიაჩეჩა და სწრაფად მოტრიალდა.

... სიყვარულის ცეცხლი წაჰკიდებოდა ყოველ სტრიქონს, ყოველ სიტყვას. ბოლოში არქიპო სწერდა: «თუმც ერთი თვალი ფიცრულის მეტი არაფერი გამაჩნია, მაგრამ ჩვენისთანა შრომისმოყვარე ახალგაზრდებს ცხოვრების გზა ხომ ხსნილი აქვთ...»

«შეჩვენებული! ასე რამ გაათამამა?»—გაიფიქრა ტატიანამ და ნაფლეთებად აქცია ბარათი. მერე უკვირდა—რატომ დაფლითა? რამდენჯერ უ იცნებია მასზე, რამდენი ღამე გაუთევია, უფიქრია...

... მერე როცა შეხვდნენ, დიდხანს მიდიოდნენ ჩუმად.

პირველად ტატიანამ სთქვა:

— დედაჩემს რა ვუყოთ?

— ხომ არ გაუმხილე?

— ცივ უარზეა. არც სამეგრელოში და არც გურიაში არ გაგათხოვებო, ყველგან ჩაია, ჩაი... რად არ დაიქცა ის დღე, შენ რომ აგრონომიული ტექნიკუმი დაამთავრეო... უნდა გავიპაროთ...

შეთანხმდნენ...

შუაღამისას, სოფელს რომ თვალი მოსტაცა ტკბილმა ძილმა, ტატიანა ფეხაკრეფით გამოვიდა სახლიდან, ეზოში კი თითქოს მუხლებმა უღალატა, შეჩერდა, მაგრამ ჭიშკართან ხომ არქიპო ელოდებოდა...

... თავდადებულ შრომაში გაირბინეს წლებმა.

ოჯახს ბარაქა ემატებოდა.

სახლში სიხარული შემოიტანეს ბავშვებმა...

მიდიოდა წლები... და უცებ...

ომი...

— თუ წერილი ვერ მიიღო, არ შეშინდე. იქნებ. წერილის დასაწერად ვერ მოვიცალო. შენ იცი, ტატიანა... ბავშვებს და დედას მოუარე...

და წავიდა...

* * *

ლამაზია სოფელი ზანა. ჩაის პლანტაციებში ჩაფლული, ჩაჩუქურთმებული. აქ არის ცხაკაიას რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ მუშაობდა ტატიანა ტყებუჩავა აგროტექნიკოსად, მერე ქმრის ადგილი რომ დაიკავა ომის დღეებში და ბრიგადირად დაიწყო მუშაობა. თავი ისახელა და შრომის წითელი დროშის ორდენიც მიიღო თავდადებული მუშაობისათვის.

— ფიზიკურად მინდა ვიმუშაო. მომიზომეთ ნაკვეთი!—განუცხადა მან ერთ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

მოუზომეს.

ალიონზე გაჩნდა ტატიანა თავის ნაკვეთზე. ბარდსა და ეკალს მოეკიდა ფეხი, ყოველ ხესა და ჩირგვს შემოჰხვეოდა. ბარს ჩაავლო ხელი ქალმა. ერთი ძლიერი მოქნევით წელში გაწყვეტილმა ეკალმა მჭლავი გაუკაწრა, სისხლი დაადინა. ტატიანა ბარს დაეყრდნო.

მოგონებებში წავიდა...

«აბა, შენ იცი, ტატიანა»...—თითქოს, აი, აქ დგას არქიპო და ეუბნება. ფიქრით ბრძოლის ველი მოიარა... ცრემლი თავისთავად [illegible] თვალებს... «იქ ხომ უფრო უჭირთ»...—გაიფიქრა. დაღლა სადღაც გაქრა. ჯიუტად ჩააცივდა ქალის ხელები ბარს. იცელებოდა ბარდი და ეკალი...

ისევ მიდიოდა წლები...

ფრონტიდან აღარ მოდიოდა სამკუთხედად მოკეცილი ბარათები...

* * *

მწვანეში ჩაფლულ ეზოში მკერდგანიერი ოდა დგას. ეზოში მერცხლებივით შემოფრინდნენ სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები. უმცროსი გოგონა ყელზე შემოეხვია ბებიას, ცალი თვალი ჩვენსკენ გამოაპარა და ყურში რაღაცას ეჩურჩულება. გასაგებია: ჩვენზე ეკითხება—ვინ არიანო ისინი?

ღამდება. ტატიანა იგვიანებს და წასვლას ვაპირებთ.

— სანამ არ დაღამდება ტატიანა არ მიატოვებს სამუშაოს. საცაა მოვა.. უმისოდ ვერ გაგიშვებთ, შვილის საფლავს გეფიცებით!—დასძლია ჩვენი წინააღმდეგობა მოხუცის თხოვნამ.

როგორც იქნა გამოჩნდა ტატიანა, ბარი სახლის კედელზე მიაყუდა და დაღლილი, მაგრამ ბედნიერი თვალები შემოგვანათა.

მერე სწრაფად დატრიალდა და სუფრა საკუთარი კამკამა ღვინით დაამშვენა.

— ჩვენი კოლმეურნეობა იმითაცაა ტატიანასაგან დავალებული, რომ მან ბევრს გაუზიარა თავისი გამოცდილება, ტატიანა ჩვენი კოლმეურნეობის მარჯვენაა.—ამბობს ვლადიმერ ბაკურაძე, ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გვიკვირს—12.650 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი?! მაინც როგორ კრეფს ამდენ ფოთოლს? ანდა რამ დაახვავა ასეთი ბარაქა იმ პატარა მიწის ნაკვეთზე?

ტატიანა თავს ევლება, თვალისჩინივით უვლის პლანტაციას. შეჰხარის ყოველ ფოთოლს.

თავს იწონებენ ბუჩქებიც.

— მე მარტო რას გავხდებოდი, ასეთი მშველელი რომ არ მყავდეს შინ. ესაა ჩემი შვილების აღმზრდელი, ჩემი დედა...—ამბობს ტატიანა და მადლიერებით შესცქერის მოხუცს.

მოხუცი კედელზე დაკიდებულ ვაჟკაცის სურათს ახედავს. თვალებში ცრემლი ჩაუდგა, მაგრამ გულს მოერია...

— მაპატიეთ... მწარეა შვილი.

გვინდა დავარღვიოთ მძიმე სიჩუმე და საუბარი ისევ ტატიანას შრომით წარმატებებზე გადაგვაქვს.

მიღწეული რომ წარსულს ეკუთვნის, ეს კარგად იცის ტატიანამ.

XXI ყრილობის დელეგატი ყრილობიდან დაბრუნდა მდიდარი შთაბეჭდილებით, უდიდესი სურვილით—უფრო მეტად გამოადგეს სამშობლოს, ხალხს, თავის სოფელს...

როცა თანასოფლელებს, მოსკოვში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებდა, ტატიანა ტყებუჩავამ იკისრა ვალდებულება: სანიმუშოდ დაამუშავოს თავისი პლანტაცია, მოკრიფოს 13 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ამირან-დარეჯანიანი" ინგლისურ ენაზე

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ (1958 წ.), რაც ლონდონში, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ინგლისურ ენაზე გამოსცა ქართული ფეოდალური საერო ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუში «ამირან-დარეჯანიანი». თარგმანი შესრულებულია რ. ჰ. სტივენსონის მიერ ჭიჭინაძისეული გამოცემის მიხედვით. ნაწარმოებს წამძღვარებული აქვს შესავალი და წინასიტყვაობა, დაწერილი მთარგმნელის მიერ, აგრეთვე მრავალრიცხოვანი განმარტება და დანართები.

აი, რას წერს სტივენსონი თავის წინასიტყვაობაში: ინგლისურ ენაზე დაწერილ ლიტერატურაში «ამირან-დარეჯანიანი» პირველად ხსენებულია ბრიტანეთის ენციკლოპედიის მერვე გამოცემაში. 1838 წ. ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა «ამირან-დარეჯანიანს«.

სტივენსონი განიხილავს ამირანთან დაკავშირებულ ხალხურ გმირებსა და თქმულებებს და აღნიშნავს, რომ ბევრი არ არის ისეთი გმირი, რომელსაც ჰქონოდეს იმდენად დახლართული და გრძელი თავგადასავალი, როგორც «კავკასიის პირველყოფილ ტიტანს». – იგი აშკარად ემსგავსება მთელი რიგი ქვეყნების—სკანდინავიის, სომხეთის (ართავაზდი), ირანის (ზოჰაკი) შებოჭილ ღმერთებს და ნახევარღმერთებს. იგივე ამირანი სხვადასხვა სახელით გვხვდება აფხაზურ, ჩერქეზულ და ყაბარდულ მითოლოგიაში. მისი ყველაზე ცნობილი ხორცშესხმა მოცემულია პრომეთეს სახით.

მომდევნო თავებში მთარგმნელი განიხილავს «ამირან-დარეჯანიანის» ორიგინალობის საკითხს და მოყავს მ. ბროსეს, ზ. ჭიჭინაძის, შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის შეხედულებანი, დაკავშირებული ნაწარმოების ორიგინალობის საკითხთან.

სტივენსონი აღნიშნავს «ამირან-დარეჯანიანისა» და ფრანგული რაინდული ეპოსის ძეგლის «სიმღერა როლანდზე» არსებითი განსხვავების შესახებ და ფიქრობს, რომ ამ ორ ნაწარმოებს შორის მაინც შეიძლება გამოიძებნოს ზოგიერთი მეტად თუ ნაკლებად არსებითი ნიშანი: ორივე ძეგლში უგულებელყოფილია ქალისადმი ინტერესი, ერთნაირი სიყვარულით არის აღწერილი იარაღის ძლიერი დარტყმა და მოწინააღმდეგის შუაზე გაკვეთა. აღმოსავლეთის და დასავლეთის ეს ორი ქმნილება ერთნაირად გვიხატავს კულტურული განვითარების იმ საფეხურს, როდესაც რომანტიულმა სულმა იწყო გზის გაკაფვა ჰეროიკული მოთხრობების ტრადიციაში. ამ პროცესმა ორივეგან, საქართველოშიც და საფრანგეთშიც, მიგვიყვანა რუსთაველის «ვეფხის ტყაოსნამდე» და კრეტიენ დე ტრუას რაინდულ რომანებამდე.

მთარგმნელის აღტაცებას იწვევს ნაწარმოების მხიარული ხასიათი, სიცხადე, სიცოცხლე, მოძრაობით აღსავსე შესანიშნავი სცენები. მას ხიბლავს ნაწარმოების ენის სისხარტე, უშუალობა, მთელი რიგი გამოთქმების წყობა. სტივენსონი მშვენივრად განმარტავს «აზნაურის», «ჭაბუკის», «დევის», «დიდებულის», «ყმის» მნიშვნელობას.

ქართველი კრიტიკოსების გარდა, სტივენსონს შეუსწავლია საზღვარგარეთელი მეცნიერების ნაშრომები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. მათ შორის ალენის «ქართველი ხალხის ისტორია» გამოცემული ლონდონში 1932 წ. ინგლისურ ენაზე, ბლეიკის «ქართული საერო ლიტერატურა» (1933 წ.), ბლეიხშტეინერის «ქართული ბალადა ამირანის შესახებ», გამოცემული ვენაში, 1918 წელს, გერმანულ ენაზე, კარსტის «ქართული ლიტერატურა» გამოცემული ციურიხში 1934 წელს, ჰუბშმანის «ოსების რწმენა და მათი საგმირო თქმულებანი» (1887 წ.).

სტივენსონისათვის დიდი დახმარება გაუწევია მარჯორი უორდროპის ფონდის გამგეობას, პროფესორ ბელის და დოქტორ გოის.

შესავლიდან ვგებულობთ, რომ ინგლისში დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლისადმი. ბევრი სპეციალურად ეუფლება ამ საგანს, ხშირად იმართება ცხარე დისკუსიები, რაც საათობით გრძელდება.

სტივენსონი შესავალს ამთავრებს დოქტორ სამუელ ლენგის სიტყვებით.

«ყოველგვარი თარგმანი უკეთესია, ვიდრე არაფერი. თარგმნის გაცნობამ შესაძლებელია ბევრს აღუძრას სურვილი შეასრულოს ამდაგვარივე სამუშაო. ამით ისინი ბევრს გააკეთებენ ლიტერატურის იმ დარგისათვის, რომელიც ჩვენში ნაკლებადაა ცნობილი».

დოქტორ სამუელ ლენგმა, რომელმაც «ამირან-დარეჯანიანი» საქართველოში გამოგზავნა, წიგნს ქართულად წააწერა: «პატივისცემით და მადლობით».

ციალა მაისურაძე

დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო
(1889—1959)



პარტიზანი ქალი



მაქსიმ გორკი



ნაყოფიერება

# ვერა მუხინა



«მოვითხოვთ მშვიდობას».

საბჭოთა სახვითი ხელოვნების ისტორიაში ვერა მუხინა დარჩა არა მარტო როგორც უაღრესად ეროვნული და მეტად ორიგინალური მოქანდაკე, რომელსაც სრულიად თავისებური პოეტური ხილვა ჰქონდა, არამედ როგორც მოაზროვნეც. მას ჰქონდა ცხოვრების საიდუმლოების შეგრძნების დიდი ნიჭი, ყოველდღიური მოვლენების უკან იგი ყოველთვის ღრმა აზრს სჭვრეტდა, მუდამ საკუთარ მხატვრულ სამყაროში ცხოვრობდა.

თუ შემოქმედის სულში გრძნობათა კოცონი ღვივის,—ხშირად ამბობდა ვერა მუხინა,—არ უნდა შენელდეს მისი წვის ძალა, რათა მან სიბერემდე შეინარჩუნოს შინაგანი ვნება და სიჭაბუკე.

ვერა მუხინას ბრწყინვალე ქმნილებები ამ სიტყვების სრული გამართლებაა. ისინი გამოირჩევიან მხატვრული ჩანაფიქრის თავისებურებით, კომპოზიციის ორიგინალობით, გაბედული გადაწყვეტით, იდეური სიღრმით, შესრულების მაღალი ოსტატობით.

ვერა მუხინას ნაწარმოებებში მონუმენტური ქანდაკებაა იგი თუ მცირე ზომის ნახატი, იგრძნობა მხატვრის მღელვარე სული, შრომისმოყვარეობა, ცხოვრებისა და ნამდვილი ხელოვნებისადმი დაუშრეტელი სიყვარული.

მუხინას ხელოვნების მასაზრდოებელი წყარო იყო სოციალისტური სინამდვილე, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, მათი ბრძოლები და გმირული შრომა, მის საჭრისს ამოძრავებდა საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული და საბჭოთა ხელოვნებისადმი თავდადება.

ვერა ეგნატეს ასული მუხინა დაიბადა 1889 წელს ქალაქ რიგაში, მხატვრული განათლება მიიღო მოსკოვში კ. ფ. იუონის და ი. ი. მაშკოვის ხელმძღვანელობით. ქანდაკებაზე მუშაობდა ნ. ა. სინიცინას ატელიეში. 1914 წელს მუხინა მიემგზავრება იტალიაში, სადაც მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს მიქელანჯელოსა და ვეროკიოს ნაწარმოებები.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა დროებით მოსწყვიტა მუხინა თავის საყვარელ საქმეს, იგი ეწყობა მოწყალების დად ერთერთ სამხედრო ჰოსპიტალში. ამ ხანებში მან შექმნა საინტერესო ჯგუფური ქანდაკება: მწუხარე დედას კალთაში უწევს ომში მოკლული შვილი და დასტირის. მუხინამ ამ ნაწარმოებებში უკვე გამოამჟღავნა თავისი დიდი მხატვრული კულტურა, დაფუძნებული როგორც რუსულ, ასევე დასავლეთ ევროპის ქანდაკებრივი ხელოვნების მემკვიდრეობაზე.

შემდეგი მისი ნაწარმოები—ა. ა. ვერტეპოვის ბიუსტი (1914 წელი) უკვე ნაკლებად ატარებდა დასავლეთ ევროპის მოდერნისტ მოქანდაკეების გავლენას. გარდა ამისა, ეს ბიუსტი გამოირჩეოდა სახის ფსიქოლოგიური სიღრმით, პოეტური სინატიფით, დამამტკიცებელი იყო აგრეთვე იმისა, რომ მუხინას სახით რუსეთს შეეძინა შესანიშნავი პორტრეტისტი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში ხელი შეუწყო მუხინას ხელოვნების აყვავებას, მისცა მას დიდი იდეური სიღრმე და სრულყოფილი მხატვრული ფორმა.

ოციან წლებში მუხინამ შექმნა დიდი რუსი მოღვაწის ნ. ი. ნოვიკოვის ძეგლის პროექტი, თუმცა იგი ვერ დაიდგა, მაგრამ მან დიდად შეუწყო ხელი მუხინას შემოქმედებით ზრდას. ამ ხანებში მუხინა უმეტესად დაზგური ხასიათის ნაწარმოებებზე მუშაობდა. 1921 წელს იგი ხდება რუს მოქანდაკეთა საზოგადოების წევრი. 1927 წელს მან დაასრულა თვალსაჩინო ნაწარმოები «გლეხის ქალი», ამ ნაწარმოებში მოგვცა ტიტანური ძალის მქონე რუსი მშრომელი ქალის სახე. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ამ ნაწარმოებს პირველი პრემია მიენიჭა.

1928—29 წლებში მუხინა ძერწავს კოლმეურნე ქალების მატრონე ლევინას და ა. ზამკოვას პორტრეტებს. ამ ნაწარმოებში მოქანდაკე შეეცადა უფრო ღრმად გადმოეცა საბჭოთა ქალების სულიერი სიმდიდრე.

30-იან წლებში ვერა მუხინა ხდება წამყვანი საბჭოთა მოქანდაკე. მას, სხვა საბჭოთა სახელმოხვეჭილ მოქანდაკეებთან ერთად, უდიდესი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა ქანდაკებრივი ხელოვნების განვითარებაში.

მუხინას პორტრეტული ხელოვნების ერთერთ საუკეთესო მიღწევად შვილის ბიუსტი უნდა ჩაითვალოს. იგი შესრულებულია ნატურის მიხედვით და დიდი ოსტატობით გადმოსცემს ბავშვური უშუალობით აღსავსე თვალების გამომეტყველებას. რაც შეეხება ა. ა. ზამკოვის ბიუსტს, იგი უფრო მონუმენტურობისაკენ არის მიმართული. ამ ნაწარმოებში და ასევე არქიტექტორ ს. ა. ზამკოვის პორტრეტშიაც, მუხინა დიდ ინტერესს იჩენს რეალური ცხოვრებისადმი, კერძოდ მოდელისადმი და იძლევა ინდივიდუალურად გამოკვეთილ მათ სახეებს.

მუხინა საინტერესოდ მუშაობდა დეკორატიული ხასიათის პლასტიკაზე. მან მრავალი ქანდაკება შექმნა არქიტექტურულ ნაგებობათა, ბაღების, ხიდებისა და ქუჩების შესამკობად. განსაკუთრებულ წარმატებას ამ მხრივ მუხინამ მიაღწია ნაწარმოებით «მუშა და კოლმეურნე ქალი» (1937 წელი). ეს უზარმაზარი მონუმენტური კომპოზიცია მოქანდაკის მიერ გამიზნული იყო პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე საბჭოთა პავილიონის შესამკობად. ეს ორფიგურიანი ქანდაკება, რომელიც სიმაღლით 25 მეტრია, გაკეთებულია ფოლადის უზარმაზარი ფურცლებიდან. მუშისა და კოლმეურნე ქალის ეს მონუმენტური და რომანტიკულად იდეალიზებული ფიგურები ხელში ნამგლითა და ჩაქუჩით წარმოადგენდნენ მაშინ ჯერ კიდევ ნორჩი სოციალისტური სახელმწიფოს და თავისუფალი საბჭოთა ხალხის უშრეტი ძალღონის გამოხატულებას.

საბჭოთა კავშირის მეგობარი, ცნობილი ფრანგი მწერალი რომენ როლანი სწერდა, რომ იგი აღიქვამს ამ ნაწარმოებს, როგორც «ჰეროიკულ ჰიმნს», რომელიც მოუწოდებს ხალხებს თავისუფლებისა და ერთიანობისაკენ და მიიყვანს მათ გამარჯვებამდე.

1939 წლიდან «მუშა და კოლმეურნე ქალი» ამკობს მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესასვლელს. მუხინას მიერ 1938 წელს შექმნილ ქანდაკებათა შორის აღსანიშნავია მაქსიმ გორკის ბრინჯაოთი ჩამოსხმული სამმეტრიანი ფიგურა, რომელიც ექსპონირებული იყო მთელ რიგ საერთაშორისო გამოფენებზე, მათ შორის, ნიუ-იორკშიც.

სამამულო ომის პერიოდში მუხინამ შექმნა მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები, რომლებშიც განსახიერებულია სულ სხვა ხასიათის თემები და ამოცანები, სწორედ ისეთი, რომლებსაც კარნახობდა თვით ცხოვრება.

მრავალფეროვანი იყო ვ. მუხინას შემოქმედება ქანდაკების ყველა სახისა და ჟანრის სფეროში, მაგრამ ძირითადში იგი მონუმენტური ხასიათის მოქანდაკეა. თითქმის ყველა მისი ცნობილი ქმნილება, ძეგლი და მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკება, მონუმენტალობის ყველა ნიშნითა და თვისებით ხასიათდება. მუხინას ნაწარმოებები გამოირჩევიან შინაარსიანობით, პლასტიკურ ფორმათა განზოგადებით, კომპოზიციურ გადაწყვეტათა ლაკონიურობითა და ამ სტილისათვის ნიშანდობლივი თვისებებით.

1950 წელს ვერა მუხინამ მშვიდობის თემაზე შექმნა ნაწარმოები: «მოვითხოვთ მშვიდობას». ეს იყო ძალზე სიმპათიური ჯგუფური კომპოზიცია, რომელსაც თვით მუხინა აგიტქანდაკებას უწოდებდა. მან ამ კეთილშობილ შინაარსს მიუძღვნა კიდევ ერთი ნაწარმოები «მშვიდობა», სადაც მშვიდობას გამოხატავს ლამაზი, სათნო ქალი მტრედით ხელში. ვ. მუხინას გარდაცვალების შემდეგ ეს ქანდაკება დაიდგა სტალინგრადში პლანეტარიის შენობაზე. ეს იყო უკანასკნელი ნაწარმოები. იგი 1953 წელს გარდაიცვალა.

ვერა მუხინას შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხმა, მას მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის წოდება, იგი იყო ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი, სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

დიდი, წარმტაცი და ჯანსაღია ვერა მუხინას შემოქმედება, იგი მისაბაძ ნიმუშად რჩება ჩვენი დროისათვის.

ნინო. ბუდიაშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა

# 300

ხალხის გენია სისადავითა და უბრალოებით გამოირჩევა. მისი ეს თვისება მაშინაც ვლინდება, როცა ხალხი თავისი ცხოვრების უმწარეს დღეებს იხსენებს და მაშინაც, როდესაც აღტაცებულია და ხოტბისათვის თავის ძალას არ ზოგავს. ყოველგვარი მედიდურობისა და ამპარტავნობის გარეშე მოგვითხრობს ხალხი ადამიანთა ისეთ ქმედობაზე, რომელსაც ჩვენ არნახულ გამბედაობად და უჩვეულო გმირობად ვთვლით.

რაც უფრო სცილდება ადამიანის მოქმედება პირადულ სფეროს, მით უფრო ფართოა მისი რეზონანსი და სწორედ ამიტომაა, რომ ჭეშმარიტი გმირობა თავისი ბუნებით ყოველთვის საზოგადოებრივია.

ამნაირი გმირობის გამოჩენის საჭიროება კი ჩვენი ხალხის წარსულში იმდენად დიდი და ხშირი იყო, რომ ერთის შეხედვით კიდეც აჭარბებდა ადამიანთა შესაძლებლობის ფარგლებს.

და აი ახლა, წელს უსრულდება 300 წელი ჩვენი ხალხის ერთ ასეთ გმირობას.



XVII საუკუნე ბევრ სხვა ხანაზე უფრო მძიმე იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ირანის შაჰებმა გადაწყვიტეს საბოლოოდ დაემორჩილებინათ ქართველობა, ხერხემალი გადაეტეხათ მისთვის, დაეთრგუნათ და საკუთარი სახე დაეკარგვინებიათ. შაჰ-აბაზ I განუწყვეტლივ უტევდა ჩვენს პატარა ქვეყანას, რომელსაც ოსმალეთმა უკვე ჩამოაცალა სამცხე-საათაბაგო... ამ დროს სპარსელებთან პირისპირ შეტაკებაში აურაცხელი ვაჟკაცი იღუპებოდა. ერის წელში გასატეხად მტერმა აუარება ქართველი ოჯახი აყარა და ბავშვიან-ქალიანად სპარსეთისაკენ გზას გაუყენა. ალაზნის ნოყიერ ველზე მომთაბარე თურქმანები ჩამოასახლეს. მათ გადათელეს კახელი გლეხის ოფლითა და წინაპართა ძვლებით გაპოხიერებული ყანები, შვილივით მოვლილი ვაზის აჩეხვა იწყეს და კახეთის გამლიერ საძოვრებად გადაქცევას შეუდგნენ. ქართველი გლეხობის გმინვა, როგორც იტყვიან, ცასა წვდებოდა. მამა-პაპათა მიწაზე მტერი ფეხს იკიდებდა, ყოყოჩობდა, ქართველობას აბუჩად იგდებდა, მის მშობლიურ ენას ემუქრებოდა, პურს წამლავდა, ხალხს სუნთქვის შესაძლებლობას უსპობდა, ციხე-სიმაგრეებს ეუფლებოდა და კიდევ ახალ-ახალ შემოტევათა გეგმებს აწყობდა. ქვეყნის არსებობა საფრთხეში აღმოჩნდა. და აი, ამ ეროვნულმა უბედურებამ გააერთიანა ჩვენი ხალხი, ერთი სული ჩაუდგა მას. მისი გონიერება, ფიზიკური ძალა და ეროვნული სიცოცხლის წყურვილი ერთიმეორეს შეუდუღა და ისეთი მოულოდნელი ძალით დაატყდა თავის ოჯახში შემოსულ კბილებამდე შეიარაღებულ მტერს, რომ ეს უკანასკნელი დაიბნა, ვინც გაქცევა მოასწრო—გაიქცა, დანარჩენებს კი მზე სამუდამოდ დაუბნელდა. განსაკუთრებული მარცხი და ზარალი მტერმა ნახა იქ, სადაც ყველაზე ნაკლებ იყო ეს მოსალოდნელი—ბახტრიონის ციხეში. ქართველმა პატრიოტებმა ბახტრიონის ციხე შელეწეს, იქ გამაგრებული მეციხოვნეები ამოჟლიტეს და საბოლოოდ ისეთი მოხერხება და გამბედაობა გამოიჩინეს, რომ შემდგომ თაობათა წარმოდგენაში სპარსელების დამარცხება თითქმის ბახტრიონისათვის ბრძოლის ფარგლებში განსახიერდა.

ეს მოხდა ამ სამასი წლის წინათ, 1659 წელს.

ამავე ხანამ უანდერძა შთამომავლობას სამშობლოსათვის თავგანწირვის სხვა მაგალითი... როდესაც აჯანყებულ ქართველებს ხელიდან ძლივს დაუსხლტა განჯის ხანი სელიმი, რომელსაც ევალებოდა კახეთში თურქმან მომთაბარეთა ჩამოსახლება, როდესაც აჯანყებულებმა ამოწყვიტეს მტრის ჯარი, ხელთ იგდეს ბახტრიონისა და ალავერდის სიმაგრეები, როდესაც მტერმა საქართველოს მთა და ბარი გაერთიანებული დაინახა, უკან დაიხია, შიშველი ძალადობა ცბიერ ლმობიერებად შეცვალა და თავის შერისძიებას აჯანყების მეთაურთა სპარსეთში მიწვევის ფორმა მისცა. აჯანყების სათავეში მდგომმა ქართველმა პატრიოტებმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ერისთავებმა, რასაკვირველია, იცოდნენ, რომ სპარსეთიდან სამშობლოში ვეღარ დაბრუნდებოდნენ, მაგრამ სახალხო საქმის მეთაურობა საქვეყნო პასუხისმგებლობასაც ნიშნავდა და თუ აქამდე ისინი იარაღშემართულნი იცავდნენ სამშობლოს, ახლა იმავე მიზნისათვის სიამაყით ავსებულ მორჩილებას მიმართეს და შაჰ-აბაზ II-ის კარზე უდრტვინველად მიიტანეს თავიანთი წინასწარგანწირული სიცოცხლე. ეს იყო მტრისაგან სამშობლოს დახსნის გზა, რომელსაც მიღებული ჰქონდა ცალკეულ ადამიანთა მორჩილების ფორმა, მორჩილებისა, რომელიც თავისი შინაგანი გამბედაობით ყოველგვარ გმირობას აჭარბებდა.

ნახატები ლ. შენგელიასი

# 300



ყველაფერმა შეაპირობა, რომ ქართველი ხალხის მეხსიერებაში უკვდავი ყოფილიყო კახეთის ეს აჯანყება, და მართლაც, თავისი ზეპირსიტყვიერებითა თუ უნიჭიერეს მწერალთა თხზულებებით ქართველობამ ხელთუქმნელი ძეგლი აუგო მის უჩინარ მონაწილეებსა და სახელმოხვეჭილ გმირებს.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ამ ბრძოლის სამზადისთან დაკავშირებითაა მოთხრობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა გაერთიანება:

თუშებო, ფშაველ-ხევსურნო, ლაშქრობა გავაზიარათ.
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერი სხვა დავაზიანათ!

ბახტრიონის აღებისას თავგამოჩენილი ვაჟკაცებია ხოშარაული, გოგორაული და ის ზეზვა გაფრინდაული, რომელმაც ასე მიმართა მებრძოლებს:

ან თქვენ გადადით გალავანს, ან გადამიშვით მიაო.
თუ შვიდ ვერ მოვკლა ხმალ-და-ხმალ, გამცვალეთ თათრის ქალზედა.

გადავა, გადაფრინდება ბახტრიონს გალავანზედა.

კახეთის ამ აჯანყებას შთამაგონებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობისათვის. ჯერ ვაჟა-ფშაველამ უძღვნა მას შესანიშნავი პოემა «ბახტრიონი», ხოლო სამი წლის შემდეგ (1895 წ.) ამავე ისტორიულ ამბავზე ააგო აკაკი წერეთელმა თავისი პოეტური პროზის შესანიშნავი ნიმუში «ბაში-აჩუკი».

ამ ნაწარმოებებიდან ჩანს ქართველის სიყვარული თავისი კუთხისადმი, მუხა-იფნებით დაფარული გორაკებისადმი, თავ-ჩაჩქნიანი მთებისადმი, ყოველ ლოდისა, მცენარისა, ცხოველისა და კაცისადმი, ამ ნაწარმოებებიდან ვგებულობთ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი პატრიოტობა და რა ძალა აქვს ამ გრძნობას, რომელიც, მტრებზე გამარჯვებულ დედას შვილების დაკარგვას გადაატანინებს, ყვავილის მსგავს ქალიშვილს შეიწირავს და ამითვე უკვდავყოფს.

სპარსელ დამპყრობთაგან განთავისუფლება ამ 300 წლის წინათ იყო ქართველი ხალხის გამბედაობის უდიდესი ნიშანი.

ოცნება ტანჯული ქვეყნის
ქვითინებს მთისა წვერზედა,—თქვა ვაჟა-ფშაველამ, როდესაც სპარსელების მიერ დაპყრობილ კახეთს ახასიათებდა. ხოლო როდესაც «აქვითინებული ოცნება» სიხარულით სავსე გულმა შეცვალა, მაშინ ქართველმა ხალხმა სალოცავად გაიხადა ამ სიხარულის მომნიჭებელი გმირები.

გრ. კიკნაძე



# თვითონაც გაიხარებდა

უამინდობა ხელს უშლიდა შტურმანს. დაძაბული იყო ეკიპაჟი. მაინც გუგუნებდა მოტორი. თვითმფრინავი კეცავდა კილომეტრებს.

ხელი მტკიცე ჰქონდა შტურმანს. მისი სჯეროდა ეკიპაჟს—არ გაუჭირდებოდა მანჯგალაძეს—ბუნებით დინჯი იყო.

დედის ხასიათი დაჰყვა, დედის აუჩქარებლობა.

მოსკოვიდან თბილისამდე ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ შტურმანმა იცის, რომ რუსთაველის პროსპექტიდან მაღლა უნდა აუხვიო, ათარბეკოვის ქუჩაზე გახვიდე, უმაღლესი სასამართლოს შენობას მიადგე და სულ ზემოთ ერთი ოთახია. იქ ზის დედა, შუახანს გადაცილებული, თმაში თეთრი ცოტა ურევია, სათვალეებიდან საყვარლად იცქირება.

ზის და წინ საქმეები უდევს, ადამიანების წარსულზე რომ ჰყვებიან ამბავს, ან არა და ხალხი ახვევია.

... ახლაც ქალია მასთან და ყვება თავის სიყვარულზე:

— მიყვარხარო მითხრა და მთელი ქვეყანა მეგონა ჩემი.

— მერე?—ფიქრებიდან გამოჰყავს ფრთხილად.

— მეც დავიჯერე და შევიყვარე. იყო ლოდინი შეხვედრიდან შეხვედრამდე, შინ მიცილება და მომავალ შეხვედრაზე ფიქრი. მერე დაქორწინდნენ.

— თაფლობის თვეც არ იყო გასული, მეგობარი რომ მეწვია,—ატირდა ქალი.—ბავშვობის მოგონებებს გავყევით, შინ დაბრუნებულ ქმარს სადილი მზად ვერ დავახვედრე და მეგობართან გამლანძღა.

სანუგეშებელი არაფერი ჰქონდა ნინოს. რა შეეძლო ეთქვა, როცა ვერ ხედავდა სიყვარულს?

... სულ სხვა იყო გუშინ, ახალგაზრდა ცოლქმარი რომ მოვიდა პატარა ბავშვით. ცოლი ეჭვიანობდა— ქმარი შინ გვიან მოდის, აღარ ვუყვარვარო.

ახალგაზრდობაში ხშირად ხდება ასე, თუნდაც ისევ სიყვარულისგან. თავისი ცხოვრებაც გაახსენდა ნინოს, სიყვარულის პირველი წლები...

ბედნიერი წავიდა შინ ახალგაზრდა ცოლქმარი პატარა ბავშვით. ურთმანეთოდ ვერ სძლებდნენ, ერთმანეთი უყვარდათ და ფრთხილად, მზრუნველად მიწოდებულმა სიტყვამ დაიცვა სიყვარული, ოჯახი...

ახლა კი არ შეეძლო ნინო მანჯგალაძეს გატეხილი გულის გამთელება. ოჯახი ინგრეოდა და ამას ისე განიცდიდა, როგორც საკუთარ ტკივილს.

... თვითმფრინავი უახლოვდება თბილისს და შტურმანს დედისთვის მოაქვს ქალიშვილისაგან გამოგზავნილი წერილი. ეს ქალიშვილი ნინომ გაზარდა და რომ უთხრათ, თქვენი არ არისო, იწყენს.

... რუსეთის დაბომბილი სოფლიდან ჩამოვიდა ბავშვი ქერა თმით და ნაღვლიანი თვალებით. დაჩაგრული და მძიმე ჰქონდა ბავშვს გული განცდილისაგან. საკუთარ შვილებში არ არჩევდა ნინო, ზაფხულობით ბიჭებთან ერთად აგზავნიდა სოფლად, ღანირში. საქართველოში დაქალდა ლიუდმილა, ქართული ისწავლა და შეიყვარა სამხრეთი.

გათხოვდა და მოსკოვის ახლოს ცხოვრობს. მშობლებს არ ივიწყებს და მოსაკითხს უგზავნის ძმის ხელით.

მისგან ბარათს ელის დედა და განსაკუთრებით ღელავს — დარბაზში ხალხია და დამსწრეთ, ყველას უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაახსენოს ერთი ჭეშმარიტება—საქმე ბავშვის გაზრდაა და არა გაჩენა.

ქვეყნად ტირილით მოვიდა იგი—მიმილეთო. დედამ არ მიილო და გააშვილა. ორმა უშვილო ადამიანმა აიყვანა გასაზრდელად და დაავიწყდათ, რომ შვილი არ ჰყავდათ.

ბავშვი წამოიზარდა, ლაპარაკი ისწავლა და გამზრდელებს დედას და მამას ეძახდა.

ახლა კი ქალი, ბავშვი რომ სხვას მისცა, მის დაბრუნებას თხოულობდა.

გულმოკლულები ისხდნენ დარბაზში გამზრდელები, სიცოცხლის ფასად არ ეთმობოდათ გაზრდილი. მათ უთანაგრძნობდა ნინო, თვითონაც ვერ გაიმეტებდა გაზრდილს, უნდოდა წინასწარ ეთქვა, ბავშვი თქვენიაო, მაგრამ არ ჩქარობდა...

ეს დღეც ისე წავიდა, როგორც ყველა დღე ამ 24 წლის მანძილზე. შინ მაინც არ მიდის, სადაც ელიან ქმარი, შვილები. სურს ისინი მოინახულოს, რომლებიც არავის ელიან.

ორი მოხუცია, თითქმის უმწეო, ღრმა სიბერეში შესული, გულგატეხილი და ნაღვლიანი. შვილების ზრდაში მოხუცდნენ და შვილებმა მათი სიბერე ითაკილეს. გაშორდნენ, წავიდნენ და აღარ გაიხსენეს.

მაინც ყოველდღე ელოდნენ, ახლა—აღარ ელიან.

— გახსოვს, ფეხს რომ იდგამდა ბიჭი, წაიქცა და გაიცინა?

— გახსოვს, პირველად რომ დედა დაგიძახა და ატირდი?

დღეებს იწყებენ გახსენებით, დღეები მიდის გახსენებით, მოგონება ხომ მაინც მათია, ვერ წაართმევ. არ კი უნდოდათ კანონი ჩამდგარიყო მათსა და შვილებს შორის, არ უნდოდათ, მაგრამ რა ჰქმნას სიბერემ!

და გვიან, ყველას რომ მოინახულებს, ნინო მძიმედ ბრუნდება უკან, ეტყობა, რომ დაღლილია, შედგება და გვერდზე ჩავლილს მაინც ასწრებს სალამს. მერე გზასაც აგრძელებს, ფიქრსაც:

ნეტა, არავისთვის არ იყოს დარდი, ყველა იყოს ბედნიერი, თვითონაც გაიხარებდა!

... უამინდობა ხელს აღარ უშლიდა შტურმანს. თვითმფრინავი კარგახანია თბილისში იყო.

ლია კაკაბაძე

# სპორტი



## ჯულიეტა გიორგაძე

მისი სპორტული გზა დაიწყო ისე, როგორც იწყება ჩვენში ათასების გზა. სკოლაში ფიზკულტურისა და სპორტის გაკვეთილზე მწვრთნელმა აკაკი მეიფარიანმა შეამჩნია ჯანმაგარი და მოქნილი გოგონა. მაშინ ჯულიეტა მე-9 კლასში იყი. ურჩიეს ფარიკაობაში ეცადა ძალა, ლამაზი სახეაო, თანაც ქალები იშვიათად მისდევენ ამ სპორტსო, უთხრეს და დაიჯერა.

როცა პირველად ნიღაბი გაიკეთა და რაპირი ხელში აიღო, არ იცოდა სად წაეღო ხელი, ფეხი. შერცხვა, იგრძნო სასაცილო იყო. ეს იყო 1949 წელს. იმავე წელს ჯულიეტა ზენეიშვილი საქალაქო პირველობაში იღებს მონაწილეობას 15—16 წლის ქალიშვილებს შორის. მხოლოდ საქართველოს არაერთგზის ჩემპიონ ჯულიეტა ჩიხლაძესთან წააგო ბრძოლა.

მომავალ ჩემპიონატამდე შრომისა და მეცადინეობის კიდევ ერთი წელი იყო, 1950 წლის მარტში ჯულიეტა საქართველოს ჩემპიონია, იმავე წელს ვორონეჟში საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამართულ შეჯიბრში II ადგილს იკავებს.

ბარიერი აღებულია. მოუსვენარ, მუდამ მაძიებელ ჯულიეტასთვის ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო რა იქნებოდა, რა უნდა ყოფილიყო ცხოვრებაში. სპორტსმენი? არა. კიდევ უნდოდა რაღაც, მოიგონა სკოლაში ბუნებისმეტყველების წრის წევრობაზე რომ დებდა თავს, მოიგონა და გადაწყვიტა უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე შესულიყო. გადაწყვიტა და შეასრულა კიდეც. მაგრამ სპორტს მაინც არ ივიწყებდა.

1955 წელს ლენინგრადში თბილისის უნივერსიტეტის სახელით გამოდის სტუდენტთა საკავშირო სპარტაკიადაზე და პირველ ადგილს იღებს.

მოლოდინს გადააჭარბა ჯულიეტამ 1955 წელს მოსკოვში გამართულ მოფარიკავე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში. ფინალში გავიდა და დიდი ანგარიშით მოუგო ჩეხ ექსჩემპიონ რაკოვას, იტალიელ კამბერს.

1956 წელს სსრკ I სპარტაკიადაზე სპორტის ოსტატის სახელს იხვეჭს. ეს იყო პირველი ქართველი სპორტის ოსტატი ქალი ფარიკაობაში.

1957 წელს ამთავრებს ბიოლოგიის ფაკულტეტს და ფიზკულტურის ინსტიტუტში შედის. სპორტი უკვე მის ღვიძლ საქმედ იქცა.

ასე გვიამბო მწვრთნელმა აკაკი მეიფარიანმა.

— წამოდით, ჯულიეტას გაგაცნობთ.

დარბაზში ვერაფერს გაარჩევთ. ნიღბებიანი «რაინდები» თავგამოდებით იბრძვიან. ვიღაცას რაღაც უთხრეს. ვიღაც ნიღაბს იხდის, გვიახლოვდება—

ჯულიეტა ზენეიშვილი-გიორგაძე.

საშუალო ტანის ენერგიული ახალგაზრდა ქალი. ვცდილობთ არ გავაცდინოთ. არა, მეცადინეობა დღეისათვის დაამთავრა. ახლა შვილთან ეჩქარება, წლინახევრის რამაზთან.

საქართველოს მომავალ ჩემპიონატამდე რამდენიმე დღე დარჩა. ვინ იცის ვინ იქნება წელს საქართველოს ჩემპიონი!




ფოტო დ. იაკობაშვილის

## გალინა შარაბიძე

ნაზი, საოცრად მორცხვი ქერა ახალგაზრდა ქალი... ცისფერი, მოკრძალებული თვალებით და სპორტსმენისათვის უჩვეულო სუსტი მხრებით. ეს გალინა შარაბიძეა.

— ნარკვევი უნდა დაწეროთ ჩემზე?

ვერ ახერხებს რაიმეს თქმას. ფოტოსურათები გვეშველება.

გალინა მოსკოვში დაიბადა 1930 წელს. ზაფხულობით მოსკოვსგარეთ ტყეებში დადიოდა, გვირილები და ძაღლები უყვარდა ძალიან, ზამთარში თხილამურებს არ იცილებდა, ასე იყო 1942 წლამდე, სანამ სპორტს არ ეზიარა. მალე, სულ მალე გალინა სპორტული საზოგადოების ყურადღებას იქცევს. არაჩვეულებრივი პლასტიურობა და გამძლეობა, საოცრად დახვეწილი მოძრაობანი და შრომისმოყვარეობა მას ერთერთ პირველთაგანს ხდის მოსკოვში. 1944—47 წლებში გალინა მინაიჩევა დედაქალაქის ჩემპიონია ქალიშვილთა შორის. ეს იყო დასაწყისი.

1943 წელს სპორტის ოსტატი ხდება და პირველად მიდის საზღვარგარეთ, ჩეხოსლოვაკიაში საჩვენებელ ვარჯიშზე... აღფრთოვანებას იწვევს ყველგან.

იმავე წელს ბუდაპეშტის ფესტივალზე აჯილდოვებენ ოქროს მედლით ხარიხაზე ხტომაში, ბრინჯაოთი—თავისუფალ ვარჯიშში.

1952 წელს ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან ერთად ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშობების მონაწილეა. აქ იგი მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს ხვდება. ამჯერად III ადგილს იკავებს ხარიხაზე ხტომაში. ახალგაზრდა სპორტსმენისათვის ეს მოვლენა იყო.

გალინა მინაიჩევას უკვე იცნობდნენ ჩვენს ქვეყანაში, იცნობდნენ და არც არავის გაკვირვებია, როცა 1952 წელს იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

მერე?

მერე მინაიჩევა შარაბიძე გახდა. 1953 წელს პირველად ჩამოვიდა საქართველოში... ქართული სითბო და ტრადიციები, ახალი საზოგადოება, ახალი სამყარო...

მიეჩვია, ახლა ასე ჰგონია არც უცხოვრია სხვაგან.

1954 წელს ისევ საბჭოთა კავშირის ნაკრებშია და იტალიაში მსოფლიოს პირველობაზე ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის იბრძვის.

შემდეგ ისევ ცოტახნით ჩამორჩა საყვარელ საქმეს. დედა გახდა, ოთხი წლის ბიჭუნა ყავს, ფეხბურთი უყვარს და მარიჯანის ლექსები. ბიჭი წამოიზარდა და გალინაც დაუბრუნდა სპორტს.

1958—59 წლებში საქართველოს ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში გალინა შარაბიძეა. ახლა საქართველოს სახელით II სპარტაკიადისათვის ემზადება.

ეს არის სულ. მეტი არაფერი აქვს სათქმელი. მხოლოდ მედლებსა და სუვენირებს გიჩვენებთ, თუ საჭირო იქნება. იტალიაში, ჰელსინკში, ბუდაპეშტში მიღებულ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლებს... ჩეხურ, გერმანულ შვედურ, ჩინურ მონეტებს... წერილებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან...

გიჩვენებთ და მოკრძალებით გიღიმით: ცოტაა, არა?

**ციხანა მიქელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვაინსბერგელი დედაკაცები

შვაბთა მხარეში, შლოსბერგის კალთებზე შეფენილია პატარა ქალაქი, თითქმის მთლიანად ვენახებში და ხილის ბაღებში ჩაფლული. მთის მწვერვალზე ცად აზიდულა ციხესიმაგრე «დედაკაცთა ერთგულების» ნანგრევები.

მე-12 საუკუნის შუა წლებში სამეფო გვირგვინისათვის იბრძოდა ორი გვარეულობა — ველფები და ჰოჰენშტაუფენები. ქალაქი ვაინსბერგი, ისევე როგორც ყველა ქალაქი იმ დროს, მაღალი კედლებით, ღრმა თხრილებით და კოშკებით იყო გამაგრებული. სამი წლის განმავლობაში ქალაქი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ჰოჰენშტაუფენების ალყას. ბრძოლებში ჰოჰენშტაუფენების მეფე კონრად მესამემაც კი მიიღო რამდენჯერმე მონაწილეობა, მაგრამ მათი ყოველი ცდა მაინც უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ უფრო ძლიერმა მტერმა — შიმშილმა აიძულა ქალაქის მცხოვრებლები დაეყარათ იარაღი, გაეღოთ ქალაქის კარი და გამარჯვებული მეფისათვის პატიება ეთხოვათ. პატარა ქალაქის ასეთი ხანგრძლივი წინააღმდეგობით გაცოფებულმა მეფემ დაიფიცა, რომ არც ერთ მამაკაცს ცოცხალს არ დატოვებდა. ქალებს კი ნება დართო გასულიყვნენ ქალაქიდან და წაეღოთ თავიანთი ძვირფასეულობიდან იმდენი, რამდენსაც ერთ აკიდებაზე მოერეოდნენ.

რა გუნებაზე უნდა დამდგარიყვნენ დედები, ცოლები, დები და ქალიშვილები? როგორ ეფიქრათ ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის, სამკაულებისა და მორთულობის წაღებაზე, როცა იქ უნდა დაეტოვებინათ შვილები, მამები, ძმები და ქმრები — თავიანთი უსაყვარლესი და უახლოესი ადამიანები, რომლებსაც ჯალათის ხელით საშინელი სიკვდილი ელოდათ?

ქალები ტირილით ეხვეოდნენ სასიკვდილოდ განწირულებს...

...«თქვენი წაღება რომ შეგვეძლოს ამ ხარახურის მაგიერ?! — გაიფიქრა ერთმა ქალმა. უცებ მის თვალებში იმედის ნაპერწკალმა იელვა, სწრაფად მოიწმინდა ცრემლები და თავისი აზრი ჩურჩულით გაანდო სხვა ქალებს.

შეწყდა მოთქმა და ტირილი.

...გარიჟრაჟისას, როცა ქალების გასაშვებად ქალაქის კარი გაიღო, საოცარი სანახაობა გადაიშალა მოწინააღმდეგის თვალწინ: გაჭირვებით მოაბიჯებდნენ მძიმე ტვირთით წელში მოხრილი ქალები. მაგრამ ეს არც ოქრო იყო არც, ძვირფასი ქვები. არა, ეს იყო უფრო ძვირფასი, ყველაზე ძვირფასი რამ, რაც კი დედამიწაზე არსებობს — ეს იყო ადამიანი. ქალებს ზურგზე მოეკიდათ მამაკაცები...

გუშაგს თავი პირველად სიზმარში ეგონა, მაგრამ მალე დარწმუნდა სინამდვილეში. მან შეაჩერა ქალები და გამოუძახა კანცლერს, რომელიც დაეჭვდა მეფის ნებართვის ამგვარად გამოყენების უფლებაში. სხვა გამოსავალი არ იყო. იძულებული გახდნენ ეკითხათ თვით მეფისათვის.

მეფემ ჯერ ბევრი იცინა დედაკაცების მოსაზრებულებაზე, მერე გაიფიქრა — ეს მამაცი ვაჟკაცები მართლაც ღირსნი არიან ასეთი მაღალი დაფასებისო. ამასთან მეფე თავს შებოჭილად გრძნობდა თავისი პირობით, თუ მას არ შეასრულებდა კანცლერებს შეეძლოთ სხვა დროს სადაოდ გაეხადათ მეფის რომელიმე განკარგულება. მეფემ აჩუქა სიცოცხლე მამაკაცებს და შეიწყნარა ქალები.

ამ ღირსშესანიშნავი ამბავის მოსაგონებლად ციხესიმაგრე კვლავ აღადგინეს და მას სახელად «დედაკაცთა ერთგულება» უწოდეს. ახლა ციხესიმაგრის ნანგრევებიღაა დარჩენილი, მაგრამ მისი ამბავი 800 წელზე მეტია თაობიდან თაობაში გადადის, პატარა, წყნარი ქალაქის სახელი გაცდა შორს, ევროპის საზღვრებს იქითაც.

გერმანულიდან თარგმნა
ნ. ავაზაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სემინარი მშობლებისათვის

## მშობლის ავტორიტეტის შესახებ

ბავშვის აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს მშობლის ავტორიტეტი. ცნობილია, რომ ბავშვი უგონებს იმ მშობელს, რომელიც სარგებლობს ავტორიტეტით როგორც ახლობლებში, ისევე საზოგადოებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი პედაგოგიურად გაუმართლებელი გზით, ძალდატანებით ცდილობს აგრძნობინოს ბავშვს თავისი ავტორიტეტი. ამ გზით მოპოვებული ავტორიტეტი ყალბია და უარყოფითად მოქმედებს ბავშვზე. მეცნიერება იცნობს ყალბი ავტორიტეტის შემდეგ სახეებს: ჩახშობის, მანძილის, ყოყოჩობის, პედანტიზმის, რეზონერობის, სიყვარულის, გულკეთილობის, მეგობრობისა და მოსყიდვისას.

ამ წერილის მიზანია დაეხმაროს მშობლებს გაარჩიონ ნამდვილი ავტორიტეტი ყალბისაგან და სწორად წარმართონ ბავშვის აღზრდა.

საუბარი გვექნება ჩახშობისა და მანძილის ავტორიტეტზე.

ჩახშობის ავტორიტეტი ბავშვის ფიზიკური დასჯით, დაშინებით, ან შეზღუდვით იქმნება. დასჯის მოყვარულ მშობელს ბავშვი ემორჩილება არა იმიტომ, რომ იგი უყვარს და მას პატივს სცემს, არამედ იმიტომ, რომ მისი ეშინია. ამ შემთხვევაში ბავშვი კარგად იქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მშობელი აკონტროლებს, ან იცის, რომ ამბავი მისი საქციელის შესახებ მშობლის ყურამდე მიაღწევს.

ჩახშობის ავტორიტეტი უმეტესად დამახასიათებელია უხასიათო და მრისხანე მამებისათვის. არიან ისეთი მამებიც, რომლებიც, მართალია, ბუნებით მრისხანე და უხასიათონი არ არიან, მაგრამ ფიზიკურ დასჯას აღზრდის საუკეთესო საშუალებად თვლიან. ასეთი მშობლები ურცხვად და უპასუხისმგებლოდ აცხადებენ—ცემის გარეშე ბავშვის აღზრდა შეუძლებელიაო. ფიზიკური დასჯა აღმზრდელის უუნარობაზე, უტაქტობაზე, თავშეუკავებლობასა და სისუსტეზე მიუთითებს. ცემამ ბავშვი შეიძლება სულიერად და ზოგჯერ ფიზიკურადაც დაამახინჯოს. ბავშვი იზრდება მშიშარა, უნებისყოფო, გულჩათხრობილი, უინიციატივო, თვალთმაქცი, მატყუარა და ნერვიული. მაგალითად, პატარა გურამი თანატოლებში სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა. როდესაც ჩვენ კლასის ხელმძღვანელებთან ერთად შევისწავლეთ მისი აღზრდის პირობები ოჯახში, დავრწმუნდით, რომ ყოველივე ეს სისტემატური ცემის და დატუქსვის შედეგი იყო.

არიან ისეთი მამებიც, რომლებიც ბავშვს თუ ფიზიკურად არ სჯიან, სამაგიეროდ მისგან თავი საკმაოდ შორს უჭირავთ. მათი აზრით, რამდენადაც შვილისაგან თავს შორს დაიჭერენ, იმდენად შვილს მათი რიდი, ხათრი და შიში ექნება. ასეთი დამოკიდებულება მას შვილების თვალში უქმნის ერთგვარ გავლენას, რომელსაც პედაგოგიკა მანძილის ავტორიტეტს უწოდებს. მანძილის ავტორიტეტით მოპოვებული გავლენა პედაგოგიურად სრულიად გაუმართლებელია. მანძილის ავტორიტეტის მქონე მამები შვილებისათვის უცხო ადამიანებს წარმოადგენენ. მათ ისიც კი არ იციან, თუ სად და როგორ სწავლობენ მათი შვილები, ვისთან ამხანაგობენ, როგორ ერთობიან და სხვ. ასეთ მამებს იშვიათად ნახავთ ცოლშვილთან მოსეირნეს, ბავშვებთან მოსაუბრეს. მათ თითქოს არ ემეტებათ გამოჰყონ დრო საკუთარი ცოლშვილისათვის, ოჯახისათვის, უშუალო და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბავშვების აღზრდაში. ეგრედწოდებული «სტუმარი» მამების აზრით, შვილების აღზრდა დედების საქმეა და ისინი ვალდებულნი არიან ოჯახი მხოლოდ ეკონომიურად უზრუნველჰყონ. ეს, რასაკვირველია, მცდარი აზრია. ზოგჯერ დედებიც კი იცავენ მანძილის ავტორიტეტს, შვილებს აღსაზრდელად უტოვებენ ოჯახის სხვა წევრებს, ბებიას, ბაბუას ან შინამოსამსახურეს. ასეთი რამ ყოვლად დაუშვებელია. მანძილის ავტორიტეტით წარმართული «აღზრდა» ბავშვს ხდის ზედმეტად მორიდებულს, მორცხვს, გულჩათხრობილს, გაუბედავს, ან პირიქით, თავნებას, ურცხვსა და უხეშს. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი მზარდი არსებაა, მრავალფეროვანი ინტერესებისა და სულიერი თავისებურების მქონე. იგი მშობელში უნდა ხედავდეს მეგობარს, მესაიდუმლეს, მფარველს, გულისხმიერ და ყურადღებიან აღმზრდელს. ასეთი მშობლის შვილი ქუჩას არასოდეს ეზიარება. მას, დარწმუნებულს, რომ მშობელი ყოველთვის გაუგებს, ხელს გაუწვდის და დაეხმარება, არ მოერიდება ესაუბროს მშობელს თავის წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე, მისთვის საინტერესო საკითხებზე, ზოგჯერ ინტიმური ხასიათის გრძნობებზე, გატაცებებზე, სურვილებსა თუ «დანაშაულზე».

**შ. კუჭუხიძე,**
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი

## გაუფრთხილდით თვალებს!

ადამიანი გარესამყაროს თავისი გრძნობის ორგანოების საშუალებით სწვდება. ამ ორგანოთა შორის ყველაზე უფრო განვითარებული და მნიშვნელოვანი მხედველობის ორგანო ე. ი. თვალია. ამიტომ ყველაზე უფრო მწვავედ ადამიანი მხედველობის დაკარგვას განიცდის.

ინვალიდებს შორის ყველაზე უფრო საცოდავი ორთავ თვალით ბრმაა. ჩვენს პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ორივე თვალით უსინათლო კაცი გულწრფელად ნატრობდა: ნეტავ, ოთხივე კიდური დამკარგოდა და ერთი თვალი შემრჩენოდაო. სავსებით გასაგებია, რომ ისეთი განვითარებული და მაღალხარისხოვანი აპარატი როგორიც თვალია, მეტად რთული და ფაქიზი აგებულებისაა.

თვალს თავიდანვე დიდი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. მაგრამ განა ყოველთვის ვუვლით თვალს, ისე როგორც საჭიროა? დავიწყოთ ბავშვებიდან: სკოლამდელი ასაკის რამდენ ბავშვს დაზიანებია თვალი მშობლების დაუდევრობის გამო, იმიტომ, რომ მათ აძლევენ შეუფერებელ სათამაშოებს წვეტიანი და მჭრელი ნაწილებით. ხშირად მშობლები ბავშვებს თავის შესაქცევად არც მაკრატლისა და დანის ხმარებას უშლიან.

სასკოლო ასაკში ამას ემატება კიდევ სპეციფიური სახის საშიშროებანი. ძალიან ხშირად ბავშვს აქვს რეფრაქციის მანკი და მშობლები და მასწავლებლები არ აქცევენ ამას ყურადღებას. რეფრაქციის მანკი ეწოდება თვალის სხივგადამტეხ არეების ისეთ ნაკლოვანებას, რომელიც ადრიდანვე (ორი სამი წლის ასაკიდან) მოითხოვს გამასწორებელი მინების (სათვალეების) ტარებას. თუ ამ მანკს ყურადღება დროულად არ მივაქციეთ და არ მივიღეთ საჭირო ზომები, ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს: თვალის გელამება ან უფრო სუსტი თვალის მხედველობის მხრივ ჩამორჩენა (ზარმაცი თვალი). უყურადღებოდ დატოვებული რეფრაქციის მანკი იწვევს თვალებისა და თავის ტკივილს, ხშირად გულის რევით. ზოგჯერ ამ მოვლენებს ტვინის სიმსივნის სიმპტომებშიც კი რევენ. ამ უსიამოვნო სუბიექტური შეგრძნებების გამო ბავშვები მეცადინეობას გაურბიან და მშობლებისა და მასწავლებლების უსამართლო საყვედურებს იმსახურებენ.

მშობლებმა და მასწავლებლებმა დროზე უნდა მიაქციონ ყურადღება—თუ ბავშვი ვერ იცავს ნორმალურ მანძილს წიგნსა და თვალებს შორის, ამის მიზეზი შეიძლება თვალების მანკი იყოს. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ბავშვს, რომელსაც სავსებით ნორმალური მხედველობა აქვს, შემდეგში განუვითარდეს მანკი იმის გამო, რომ კითხვის არასწორი ჩვევა აქვს გამომუშავებული. საერთოდ, ბავშვი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს ნორმალურ მდგომარეობაში მეცადინეობას, ე. ი. უნდა დაიცვას 30—35 სმ, დისტანცია თვალებსა და წიგნს შორის. ამასთან წასაკითხი ტექსტი საკმაოდ უნდა იყოს განათებული, მაგრამ ისე, რომ სინათლე უშუალოდ თვალებში არ უყურებდეს. წერის დროს კი შუქი მარცხნიდან უნდა ენათებოდეს, რათა ხელის ჩრდილი არ აბნელებდეს საწერ ფურცელს.

გამასწორებელი მინების ანუ სათვალეების ხმარება აუცილებელი და ნორმალური ხდება თითქმის ყველასათვის გარკვეულ ასაკში—სახელდობრ, ორმოცი წლის შემდეგ. ამ წლებში (ზოგიერთი ახლომხედველის გამონაკლისით) ვითარდება ეგრედწოდებული ასაკოვანი შორსმხედველობა, რომლის დროსაც ადამიანი ჩვეულებრივ შრიფტს მხოლოდ მანძილზე არჩევს. ხალხში გავრცელებულია ცრუ შეხედულება,

თითქოს სათვალეების ტარება აჩქარებს მხედველობის დაქვეითებას და ამიტომ, რაც უფრო გვიან გაიკეთებს ადამიანი სათვალეებს მით უფრო უკეთესია. ეს მცდარი შეხედულებაა. როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილებისათვისაც აუცილებელია თვალების მანკის დროულად შესწორება სათვალეების შემწეობით. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს ცოტაოდენი რამ თვალის იმ მძიმე დაავადებათა შესახებ, რომელთა დროულად გამოვლინებასა და მკურნალობას შეუძლია ააცდინოს ადამიანი სამწუხარო შედეგს. ასეთი ავადმყოფობაა გლავკომა (ხალხში მას შავ წყალს უწოდებენ). რა საეჭვო ნიშნებს უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ ავადმყოფობის გამოსაცნობად? ასეთი სიმპტომებია, მაგალითად, მხედველობის პერიოდული ან ერთჯერადი დაბურვა, მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით, ზოგჯერ ერთი წამითაც. მხედველობის ასეთი დაბურვა ყოველთვის არ არის გლავკომით გამოწვეული, ამის მიზეზი შეიძლება იყოს: საერთო სისხლნაკლებობა, სისხლძარღვთა სპაზმა და სხვ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ავადმყოფმა უსათუოდ უნდა მიმართოს ექიმს, რათა გამორიცხოს გლავკომით დაავადების შესაძლებლობა. გარდა ამისა, გლავკომის დასაწყისს ახასიათებს ცისარტყელისებური წრეების გამოჩენა, როდესაც ავადმყოფი სინათლის წყაროს უცქერის. გლავკომამ იცის აგრეთვე ცალმხრივი შაკიკისებური თავის ტკივილი, მხედველობის დაქვეითება და სხვ. გლავკომა ძალიან მძიმე და ცუდი პროგნოზიანი დაავადებაა, მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი რეალური საშუალებაა მისი დროულად გამომჟღავნება. იმისათვის, რომ ავიცილოთ თვალის მწვავე და ქრონიკული ინფექციური დაავადებანი, აუცილებელია ჰიგიენური პირობების დაცვა. ქრონიკულ ინფექციურ დაავადებათა შორის განსაკუთრებით საშიშია ტრაქომა, რომელიც ჩვეულებრივად ქუთუთოს ლორწოვან გარსს აავადებს, ხოლო გართულების და უყურადღებობის შემთხვევაში თვალის კაკალზეც გადადის და მხედველობის დაკარგვას იწვევს. ეს დაავადება ჩვენში თითქმის ლიკვიდირებულია, მაგრამ სულ აღმოფხვრილი არ არის. ამიტომ აუცილებელია მკაცრი პირადი ჰიგიენის დაცვა, განსაკუთრებით საერთო საცხოვრებლებში: უნდა ვიხმაროთ მხოლოდ საკუთარი პირსახოცი და ბალიში, უნდა ვერიდოთ პირის დაბანვას ეგრედწოდებული ფრანგული წესით (როდესაც პირისახეს ჯამში იბანენ და სხვ.).

მწვავე ინფექციურ დაავადებათა შორის გავრცელებულია სხვადასხვა სახის კონიუქტივიტი—თვალის ლორწოვანი გარსის ანთება, რომელსაც ახასიათებს ძლიერი სიწითლე, ჩირქოვანი გამონადენი, შუქისადმი შიში, თვალში უცხო სხეულის შეგრძნება და სხვ. ამ დაავადების გავრცელება ადვილად შეიძლება მტვრიან ატმოსფეროში, საერთო საბანაო და საცურაო აუზებში. ყველაზე ხშირად კი ინფექციის გადამტანის როლში ხელი გამოდის. ხელით ჩვენ ვეხებით ყოველ საგანს, რომელიც შეიძლება ინფექციის მატარებელი გახდეს. მაგალითად, ფულს, რომელიც გამუდმებით ხელიდან ხელში გადადის. ამიტომ მკაცრ წესად უნდა დავისახოთ, რომ თვალს არ შევეხოთ ხელით. საინტერესოა, რომ თვალს თვითონ აქვს ბუნებრივი დამცველი აპარატი, ქუთუთოების, წამწამების და ცრემლის სახით. ეს უკანასკნელი მუდმივ რეცხავს თვალს და იცავს მას დანაგვიანებისა და გაშრობისაგან. ცრემლში არის ისეთი შემადგენელი ნაწილი (ლიზოცინი), რომელიც ბაქტერიების წინააღმდეგ მებრძოლის ფუნქციას ასრულებს, ჩვენ მოგვეთხოვება მხოლოდ მივეხმაროთ თვითონ თვალს და გარედან არ შევიტანოთ მასში რაიმე ინფექცია და თუ მაინც ვერ მოვახერხეთ დაავადების თავიდან აცილება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივმართოთ შინაურ წამლებს და ექიმბაშებს. თვალის დაავადების ყველა შემთხვევაში აუცილებელია ექიმის რჩევა-დარიგება და მის მიერ დანიშნული მკურნალობის ჩატარება.

**ანასტასია რამიშვილი,**
რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

# ნუ დაარქმევთ ბავშვს საჩოთირო სახელს!

სულ ერთი თვისაც არ იქნებოდა, «ორშაურა» რომ დაარქვეს. ცოტა რომ წამოიზარდა, ორშაურამ შეამჩნია, რომ უფროსი ბავშვები დასცინოდნენ მას — ვერ გაეგო კი რის გამო. ვინ სამშაურას ეძახდა, ვინ ხუთშაურას.

უფრო გვიან ორშაურა მიხვდა, რომ მას რაღაც სასაცილო ნაკლი აქვს. ხოლო შემდეგ, როცა გაიგო, თუ რას ნიშნავს «ორშაურა» და როცა გაიგონა მეზობლის ბალღს თამარი დაარქვეს, იმასაც მიხვდა, რომ ეს «ნაკლი» თან არ დაჰყოლია, არამედ მოუგონებიათ მისთვის...

ასე იყო თუ ისე, ორშაურა მიიღეს სკოლაში თამარის სახელწოდებით... ზოგიერთი ჩვენი სკოლა, სამწუხაროდ ასე არ მოიქცეოდა, და საბრალო ორშაურა დაცინვის საგნად ეყოლებოდათ სკოლაშიც.

ოჯახში, ნათესავებსა და ახლობლებში თამარს მანამდე შერჩა სათაკილო სახელი—«ორშაურა», სანამ მან შეგნებულად არ მოიცილა იგი:

«ორშაურას» ვინც ეძახდა, მას პასუხსაც არ გასცემდა ხოლმე, ხოლო შემდეგ აშკარა პროტესტს უცხადებდა ყველას, ვინც მას საჩოთირო, ქუჩური სახელით ამცირებდა. ერთხანს თამარს ამ მშვენიერი სახელის დაუმახინჯებლად შენარჩუნებისათვისაც მოუხდა ბრძოლა: ვინ თამარს ეძახდა, ვინ თამრუკას და ვინ თამარიას. მეხუთე თუ მეექვსე კლასში იყო თამარი, როცა ერთმა ახალგაზრდა მასწავლებელმა გამოიძახა: «თამარა მახალდიანი!» თამარი არ ამდგარა—თითქოს მას არც გაეგონოს. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ, მასწავლებელმა ნაწყენი კილოთი უთხრა: «ჩემი სახელია თამარ და არა თამარა. ასე მასწავლა ბიძაჩემმა.»

ბავშვებისათვის სახელის შერჩევის საკითხი მართებულად იპყრობს ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღებას. მართლაც, არ შეიძლება არ გვეჩოთიროს ასეთი სახელები: რევიზია, ტროლეიბუს, კუკუ, წიწილა, კირკიტა, ტრაქტორი, არგელოდი, აწიკმარა, ევრაზია, დინამო, ფარან, ბუზა, გენია, ტოჩკა, კვიტანცია და მრავალი მსგავსი.

ზოგიერთი მშობელი თვითნებურად ქმნის უცნაურ სახელს. არ უწევს ანგარიშს არც სახელის სილამაზეს, არც გარემოს, არც ისტორიას, არ ითვალისწინებს, რომ ამა თუ იმ სათაკილო სახელს შეუძლია უსიამოვნება მიაყენოს მის მატარებელს, როცა იგი წამოიზრდება—სკოლაში შევა და შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაებმება. ამის გაუთვალისწინებლობის შედეგია, რომ საკმაოდ შესამჩნევად გავრცელდა და გამრავლდა ჩვენში საჩოთირო სახელები.

მშობლის სიყვარული შვილისადმი იმდენად ძლიერია, რომ სახელის ნამდვილი აზრობრივი მნიშვნელობა მისთვის თითქმის დაფარულია: ბავშვს დედა სიყვარულით ეძახის გიჟს, ყაჩაღს, ლეკვს, გაბერილს, გაუმაძღარს და მრავალ ასეთს, და ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რას იფიქრებს ამ სახელის გაგონებისას გარეშე ვინმე, ვისაც ისე «გაგიჟებით» არ უყვარს სხვისი შვილი. თავდაპირველად მშობლებისათვის სულერთია, რა დაერქმევა მის ბავშვს — რევიზია თუ ავთანდილი, ბუზა თუ ნინო, წიწილა თუ სალომე, კვიტანცია თუ გიორგი — თვითეულ მათგანში ჩაქსოვილია მშობლის «ბრმა» სიყვარული. მხოლოდ გვიან, როცა ზედმეტი სახელი უსიამოვნებას შეახვედრებს მის შვილს, მშობელი მიხვდება, თუ რა ცუდი სამსახური გაუწია მას.

ჩვენს სინამდვილეში, როდესაც ბავშვი ხელისუფლებისა და საზოგადოებრივობის განსაკუთრებული მზრუნველობითაა გარემოსილი, საჭიროა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ამ მხრივ არ «დაზარალდეს» ჩვენი მომდევნო, შემცვლელი თაობა, ჩვენი ერი.

წესიერი ქართული სახელების დარქმევის საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს მწერლობას, მათი გმირების სახელები წარმოადგენენ სახელების მძლავრ პროპაგანდას. ცნობილია, რომ ამა თუ იმ გმირის სახელის მატარებელი ცდილობს გაამართლოს თავისი სახელი.

იქნებ საჭიროა სახელის დარქმევის ერთგვარი რეგლამენტაცია სათანადო ორგანოების მიერ? მაშინ ადგილი აღარ ექნება სახელის თვითნებურ შერჩევას.

რაც შეეხება თვით პრინციპს, თუ როგორ უნდა დადგინდეს ადამიანის სახელთა «სანიმუშო სია», ვფიქრობ, იგი უმთავრესად ისტორიას უნდა ემყარებოდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადღეისო სახელები შორეულ წარსულში ვეძიოთ. მხედველობაში მაქვს საუკეთესო სახელების ტრადიცია—როგორც შორეული წარსულიდან, ისე გუშინდელიც.

უცხოური სახელები არ დაიწუნება მხოლოდ უცხოურობით, მაგრამ ისინი უნდა გაფორმდნენ ქართული სამოსელით (მაგალითად, ჩვენში ამბობენ უშანგი და არა უშანგ, ნამდვილად კი უნდა იყოს ისევე, როგორც ბაგრატ, თამარ, დავით და არა ისე,როგორც აკაკი,ირაკლი, გიორგი).

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ახალი სახელების შექმნაც, მაგრამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ისე, როგორც ამას ვხედავთ ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში.

საერთოდ კი წესიერი სახელების დარქმევისადმი მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ როგორც მშობლებმა ასევე «მმაჩის» მუშაკებმა და სკოლამ.

**გ. ახვლედიანი**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვუაროთ ტანსაცმელს

თქვენ ბევრი ტანისამოსი გაქვთ, მაგრამ თუ არ შეგიძლიათ წესრიგში იქონიოთ იგი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კარგი ჩაცმული ხართ.

ჩვეულებად უნდა შემოიღოთ ტანისამოსის ყოველდღიური მოვლა. მაშინ არ დაგეკარგებათ ბევრი დრო.

შეეჩვიეთ სულ უბრალო გაცრეცილის, გარღვეული ნაკერების ამონემსვას, ღილების დაკერებას და ლაქების დაუყოვნებლივ ამოყვანას.

თქვენი უკმაყოფილება ხშირად ტანისამოსის სიმცირით კი არ არის გამოწვეული, არამედ მისი ცუდი მოვლით და ყიდვისას დაუფიქრებელი ამორჩევით.

ტანისამოსის მოვლა იწყება მისი შეძენის მომენტიდანვე. მთელი დღე ხართ გარეთ, თუ მხოლოდ ორი საათით გახვედით,—სულერთია, მიხვალთ თუ არა სახლში, ტანისამოსი აუცილებლად გამოიცვალეთ. დასვენებას ტანისამოსიც საჭიროებს. განსაკუთრებით კარგად გამოიყურება დასვენების შემდეგ შალის ტანისამოსი. მაშინ მას შედარებით იშვიათად სჭირდება უთო. დაჭმუჭვნილი შალის ტანისამოსი გასწორდება, თუ მას ნესტიან სუფთა ჰაერზე გაჰკიდებთ. ნახმარი შალის ტანისამოსი არ უნდა დაჰკიდოთ კარადაში, სანამ არ გაამზეურებთ აივანზე ან ფანჯარასთან. შალის ტანსაცმელი ხშირად უნდა იწმინდებოდეს, მიუხედავად იმისა, ემჩნევა თუ არა მას მტვერი.

საწვიმარი ლაბადა და ქოლგა ტანისამოსის მოვლის აუცილებელი საგნებია. თუ პალტო ან კოსტუმი დაგისველდათ, თავისუფლად ჩამოკიდეთ ის მაგარ საკიდზე და დროდადრო შეფერთხეთ, ხოლო სახელოები იდაყვებთან რომ არ გამოიბეროს, გაზეთის ქაღალდით ამოავსეთ. ასევე გამოტენეთ გაზეთის ქაღალდით სველი ფეხსაცმელი და ქუდი. სველი ფეხსაცმელი არავითარ შემთხვევაში არ დადოთ ცხელ ღუმელთან. არ შეიძლება დალაქავებული, გაუსუფთავებელი ფეხსაცმლის კარადაში შენახვა. ზამშის ფეხსაცმელი იწმინდება სპეციალური რეზინის ჯაგრისით. თუ მაინც არ გაიწმინდა, მაშინ ის მდუღარე წყლის ორთქლზე გაატარეთ. ასევე შეგიძლიათ გაასწოროთ დაჭმუჭვნილი ქუდი.

ნუ გადასდებთ ფეხსაცმლის შეკეთებას. გათელილი ქუსლები სრულებით არ ალამაზებს თქვენს ფეხებს და სიარულს.

არასოდეს არ მიაგდოთ ტანისამოსი, სადაც მოგხვდებათ იქ, და როგორც მოგხვდებათ ისე. თუ მონდომებით გაასწორებთ კაბის, კოსტუმის ნაკეცებს და ისე დაჰკიდებთ საკიდზე, მაშინ არასოდეს არ ექნება მას გადმობრუნებული ბორტები, დაკუჭული სახელოები, ულამაზო ხაზები. კარგი იქნება, თუ საკიდზე დაკიდებულ კაბას ჩიხოლს ჩამოაცმევთ,—მტვერი არ დაედება და კაბაც არ დაჰკარგავს ფერს, შნოსა და ლაზათს.

დაუყოვნებლივ დაამაგრეთ თვლები წინდებზე და ხელთათმანებზე. გახდისას გაასწორეთ ხელთათმანის თითები. როგორც წესი, შემოიღეთ წინდების ყოველ საღამოს გარეცხვა ოთახის ტემპერატურის წყალით. ნუ დააგროვებთ ჭუჭყიან თეთრეულს. რაც შეიძლება ხშირად რეცხეთ ის.

თუ სისტემატურად ამზეურებთ და ასუფთავებთ პალტოს და კოსტუმს, ისინი ნაკლებად იჭმუჭნება. მაგრამ დროდადრო მაინც აუცილებელია მათი დაუთოვება. ტანისამოსი, რომელსაც თქვენ მიმდინარე სეზონში არ იხმართ, სუფთად უნდა იყოს შენახული. ჩრჩილს ჭუჭყიანი საგნები უყვარს. მაგრამ საკმარისი არ არის სუფთად იქონიოთ ტანსაცმელი და კარადა. დროდადრო აუცილებელია ჩრჩილის საწინააღმდეგო ფხვნილის მოყრა.

შალის ქსოვილი გაზეთში გახვიეთ: ჩრჩილს არ უყვარს სტამბის საღებავი.

ახლა არსებობს ძალიან ეფექტური სარეცხი საშუალებები («ნოვოსტი» «უნივერსალი», «კა—1»). თუ ქსოვილის საღებავი გადადის, წყალს ცოტაოდენი ძმარი უნდა დაუმატოთ. შალეულის, ნატურალური აბრეშუმის და ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი ოთახის ტემპერატურის წყალში ირეცხება, ხოლო ნეილონი და პერლონი—თბილ წყალში.

შალის ქსოვილი რეცხვისას არ უნდა ახახუნოთ, გასაწურად გაახვიეთ პირსახოცში და ისე გაამშრალეთ, გაასწორეთ ყველა ნაკეცი და მიეცით საჭირო ფორმა. საერთოდ შალის ტანსაცმელი ხშირ უთოობას არ მოითხოვს.

ტყავის ხელთათმანები, რომლებიც ირეცხება, უფრო რბილი და სასიამოვნო ხდება თუ წყალს, რომელშიც მას ავლებთ, ცოტაოდენ საპონს დაუმატებთ.

თხელი წინდების დაცვის ეფექტური საშუალებაა მათი ხელთათმანებით ჩაცმა. წინდების ყუთში ყოველთვის გედოთ ძველი ხელთათმანები. მეორე ნაცადი საშუალებაა: მოაგროვეთ წინდა ხელში, შემდეგ ფრთხილად ააგორეთ და ისე ჩამოიცვით ფეხზე.

ჭუჭყიანი ფორმადაკარგული ხელჩანთა არ ალამაზებს ტანსაცმელს, ასევე არ შეიძლება მისი გატენა.

ტყავის ხელჩანთები გაწმინდეთ ფეხსაცმლის უფერული კრემით, ზამშის ხელჩანთა კი ისევე იწმინდება, როგორც ზამშის ფეხსაცმელი.

დასასრულ, ტანისამოსის გარეგნობა და მისი გამძლეობა პარადად თქვენს უნარზე და ხასიათზეა დამოკიდებული. არიან ქალები, რომლებიც ყველაფერს ედებიან, ხშირად ეხევათ წინდები, უტყდებათ შესაკრავი—ელვა, სწყდებათ ღილები, სადაც მოხვდება, იქ ავდებენ ტანსაცმელს. თუ თქვენ ამ ტიპის ქალებს ეკუთვნით, იოლი არ იქნება შეინარჩუნოთ კოხტა გარეგნობა, მაგრამ თუ იცით თქვენი უარყოფითი მხარეები, შეიძლება აიცდინოთ თუ ყველა არა, ზოგიერთი მარცხი მაინც.






ეროვნული ბიბლიოთეკა




## ჭორფლის შესახებ

ჭორფლი სახის კანის ერთ-ერთი ნაკლია. ზამთარში კანზე ჭორფლი ნაკლები რაოდენობითაა, უფერულია და არ ჩანს. მაგრამ გაზაფხულზე მზის სხივების უფრო ძლიერი ზემოქმედების შედეგად, ჭორფლი მუქდება და შესამჩნევი ხდება.

თუ ჭორფლი უფერულია და თვალში ძლიერ არ გვეცემა, კარგი შედეგი მოაქვს კანზე მაწვნის წასმას. მაწონი შეიცავს რძის მჟავას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კანის რქოვანი გარსის აქერცვლა და რადგან პიგმენტის უმეტესობა სწორედ ამ გარსშია თავმოყრილი, სახის გათეთრება. დაიბანეთ პირი საპნით. წაისვით სახეზე მაწონი და ოცი წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ოთახის ტემპერატურის წყლით. ეს პროცედურა ჩაატარეთ ყოველდღე სასურველი შედეგის მიღებამდე. მაწვნის წასმას კანისათვის არავითარი ზიანი არ მოაქვს. ხშირად ჭორფლის გადასაცლელად ძილის წინ სახეს იწმენდენ წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარით ან ლიმონის წვენით (1 ლიმონის წვენი შეურიეთ 100 გრ. არაყს).

თუ ზემოთ ჩამოთვლილმა საშუალებებმა ჭორფლი არ მოგაშორათ, იხმარეთ მალამო «ვესენნი» და «მეტამორფოზა». მათი წასმა იწვევს სახის კანის რქოვანი გარსის თანდათანობით, თვალისთვის შეუმჩნეველ აქერცვლას.

ყოველ საღამოს დაწოლის წინ დაიბანეთ სახე თბილი წყლით და საპნით, წაისვით მალამო. დილისთვის იმ ადგილებზე, სადაც მალამო შეიზილეთ, კანი ოდნავ უნდა გაწითლდეს. მალამოს ნარჩენი ჩამოიბანეთ თბილი საპნიანი წყლით.

ორსული და მეძუძური ქალებისთვის, აგრეთვე თირკმლების დაავადების შემთხვევაში ამ მალამოების ხმარება არ შეიძლება (რადგან ისინი შეიცავენ თეთრ დალექილ სინდიყს).

ჭორფლი გაზაფხულზე და ზაფხულში გამოჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით კი მარტში, როცა გაზაფხულის მზე მძლავრ ულტრა იისფერ გამოსხივებას იძლევა, ამიტომ მის ასაცილებლად წინასწარ უნდა ჩავატაროთ პროფილაქტიკური ღონისძიებები:

შენობიდან გამოსვლისას სახეზე უეჭველად უნდა წაისვათ მზის სხივებისაგან დამცველი მალამო («მაია», «ლივადია», «ოგნი მოსკვი», «კრემ ოტ ზაგარა», და დამცველი პუდრი «კურორტნაია»). ამ მალამოს კანი მხოლოდ 6 საათის განმავლობაში ინარჩუნებს. შემდეგ კიდევ გადაისვით მალამო და პუდრი.

ახლა ცდილობენ შექმნან მზისაგან დამცველი მალამო, რომელიც მთლიანად შთანთქავს ულტრაიისფერ სხივებს. გარდა ამისა, ცდილობენ შეადგინონ ისეთი მათეთრებელი მალამო, რომელიც არ შეიცავს თეთრ დალექილ სინდიყს, ბისმუტსა და სალიცილის მჟავას.

**გ. სისოლინი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

# მოდის ანბანიდან

## ს უ ნ ა მ ო

გიყვარს სუნამოს ხმარება? მაშინ მხედველობაში მიიღე, რომ ყოველგვარი სუნამო შენ არ მოგიხდება. ნუ აირჩევ წახედულობით სუნამოს. რაც შენს ამხანაგს შვენის, ის შეიძლება შენთვის სულ არ იყოს შესაფერი. გარდა ამისა კარგია, რომ შენ სხვებისაგან განსხვავებული სურნელი გახლდეს თან.

აუტანელია, როცა გამაღიზიანებლად ძლიერი სურნელება გახლავს. ორი წვეთი სრულიად საკმარისია. სუნამო სულ ოდნავ, ოდნავ უნდა იგრძნობოდეს. დაიმახსოვრე: ჯობს ძალიან ცოტა, ვიდრე ძალიან ბევრი!

კიდევ ერთი რამ: სუნამოს ტანსაცმელზე ნუ დაისხურებ. იქნებ იფიქრო, ასე სურნელი უფრო დიდხანს ძლებსო, ნუ იძუნწებ, გეთაყვა! ჯერ ერთი, შეიძლება ტანსაცმელზე ლაქა დაგაჩნდეს. მეორეც ტანსაცმელი თავისებურად უცვლის სუნამოს სურნელს, კანზე დასხურებული სუნამო კი თავის სასიამოვნო არომატს ინარჩუნებს.

## ხ ე ლ ჩ ა ნ თ ა

ხელჩანთის გარეშე ქალის ჩაცმულობა დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. აუცილებელი არ არის მეტისმეტად ძვირფასი ხელჩანთის შეძენა. მთავარია, ხელჩანთა უხდებოდეს მთელ შენ გამოსახულებას და ჩაცმულობას.

სასაცილოა, როცა წარმოსადეგ ქალს პატარა ხელჩანთა უჭირავს და მოაკონწიალებს. ანდა პირიქით, პატარა ქალს რომ თითქმის თავის ტოლა ხელჩანთა აურჩევია. ხელჩანთის ყიდვისას გირჩევთ სარკეში შეამოწმო, როგორ შვენის იგი მთელ შენს გამოსახულებას. რა თქმა უნდა, მის ფერსაც უნდა მიაქციო ყურადღება, ეხამება თუ არა იგი შენს ჩაცმულობას. თუ ხელჩანთა მხოლოდ ერთი გაქვს, მაშინ ის არც მეტისმეტად ელეგანტური უნდა იყოს და არც ძალიან სადა.

კიდევ ერთ რამეზე გვინდა შევაჩეროთ შენი ყურადღება: არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ქალი, როცა ის ხელჩანთას აქანავებს შეგიძლია ხელჩანთა მკლავზე ჩამოიკიდო და ისე ატარო.

## ქუდის შესახებ

ქუდის არჩევისას მარტო მის სახეზე მოხდენას კი არ უნდა მიაქციო ყურადღება, არამედ უნდა შეამოწმო როგორ შვენის ესა თუ ის ქუდი მთელს შენ იერს.

თუ დაბალი ტანისა ხარ და ჩასუქებული, ერიდე ფართო ფარფლებიანი ქუდის ტარებას. ასეთ ქუდში სოკოსავით გამოჩნდები. უმჯობესია პატარა ქუდი შეიძინო. ასევე არ შვენის დიდი ქუდი პატარა სუსტ ქალებს. თუ მსუქანი სახე გაქვს, არ გირჩევთ მჭიდროდ მორგებული ქუდის ყიდვას. ეს თქვენს სახეს კიდევ უფრო მსუქანს გამოაჩენს. ასევე არ დაგშვენდებათ ფართო ქუდიც.

თუ გრძელი და ვიწრო სახე გაქვს, არავითარ შემთხვევაში არ ატარო მაღალი ქუდი. შენთვის უმჯობესია შუბლზე ჩამოწეული ქუდის ტარება. დაიმახსოვრე ერთი რამ: თუ ქუდი სარკეში პირველ ჩახედვისთანავე არ მოგიხდა, მაშინვე უნდა შეცვალო.

ქუდის ფერსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ შენ ფერმკრთალი და ამავე დროს ქერა ხარ, არ გირჩევთ ღია ფერის ქუდის ტარებას. რა თქმა უნდა, ქუდის ფერი ტანსაცმლის ფერს უნდა შეუხამო.

ყურადღება მიაქციე ვარცხნილობასაც: თუ ქუდი კეფას არ გიფარავს, მაშინ კეფაზე თმა მსუბუქ ხვეულებად უნდა გქონდეს დალაგებული.

გერმანულიდან თარგმნა **დალი კოკაიამ**

ეროვნული

## დიასახლისის გამოცდილებიდან

# მ ხ ა ლ ე უ ლ ი

### შერეული მხალი

ნახევარ-ნახევარი კილოგრამი ქორფა მოლოქი (ბალბა), ჯიჯლაყა, ქათანაცერა, ჯინჭარი და თეთრი მხალი (კარგია იის ფოთლებიც) გავარჩიოთ, ფესვი და დამჭკნარი ფოთლები მოვაშოროთ და სუფთად გავრეცხოთ. დავასხათ მდუღარე წყალი და ვხარშოთ ძლიერ ცეცხლზე არაუმეტეს ნახევარი საათისა. 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი და ნიორი (გემოვნებით) კარგად დავნაყოთ. როცა მხალი მოიხარშება, სწრაფად გადავუწუროთ წვენი და ქვაბშივე შევურიოთ დანაყილი ნიგოზი და ნიორი. ხის კოვზით კარგად გავლესოთ. ბოლოს მოვაყაროთ წინასწარ წვრილად დაჭრილი 5 ძირი ქინძი, 3 ძირი კამა, 1 ძირი ოხრახუში, 5 ღერი ტარხუნა, 2 თავი ხახვი, მარილი და ავურიოთ. ეს მხალი სუფრაზე ცხელივე უნდა მივიტანოთ, ცხელ მჭადთან ერთად.

### ახალი ხახვის მხალი

2 კგ ახალი ხახვი გავარჩიოთ და გავრეცხოთ. ჩავყაროთ ადუღებულ წყალში და გავთუთქოთ. როცა გაცივდება, გავწუროთ. ნახევარი ჩაის ჭიქა დანაყილი ნიგოზი გავლესოთ ძმარში, ვუყოთ მარილი და შევურიოთ დაკეპილ მხალს. მოვაყაროთ წმინდად დაჭრილი ქინძი, კამა და კიდევ ავურიოთ.

### ძველი ხახვის მხალი

ნახევარი კილოგრამი ძველი ხახვის თავები გავარჩიოთ. შემდეგ შევწვათ ან მოვხარშოთ. ბროწეულის წვენში გავლესოთ ნახევარი ჩაის ჭიქა დანაყილი ნიგოზი, ვუყოთ მარილი. მოხარშული ან შემწვარი ხახვი დავფურცლოთ და დანაყილ მასაში ავურიოთ.

### ტკბილი წიწაკა ძმრით

გრძელ-გრძელი მწვანე ტკბილი წიწაკა გავრეცხოთ, წვერი დავუსეროთ, ჩავყაროთ მდუღარე წყალში და გავთუთქოთ. შემდეგ ამოვიღოთ, გავავლოთ ცივი წყალი, გავწუროთ და ჩავალაგოთ ძმარში (რომელსაც ცოტა მარილს ვუზამთ).

ასე დამზადებული ტკბილი წიწაკა ძალიან უხდება ძველ ლობიოს.

### ახალი ნივრის მხალი

1 კგ ახალი ნიორი ფოთლებიანად გავარჩიოთ და გავთუთქოთ. შემდეგ გავწუროთ და დავკეპოთ. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი ძმარში გავლესოთ, ვუყოთ მარილი და შევურიოთ მოხარშულ ნიორს.

### ყვავილოვანი კომბოსტოს ფოთლების მხალი

კილონახევარი ყვავილოვანი კომბოსტოს ფოთლები გავარჩიოთ და გავრეცხოთ. ჩავალაგოთ მდუღარე წყალში და მოვხარშოთ ძლიერ ცეცხლზე, რაც შეიძლება სწრაფად. მოხარშული მხალი გავწუროთ და დანით დავკეპოთ. ნახევარი ჩაის ჭიქა დანაყილი ნიგოზი და მარილი გავხსნათ ძმარში, შევურიოთ მოხარშულ მხალს, მოვაყაროთ წმინდად დაჭრილი 3 ძირი ქინძი, 2 ძირი კამა, ერთი ძირი ოხრახუში და წიწაკა (გემოვნებით). ყველაფერი ეს ერთმანეთში კარგად ავურიოთ. ყვავილოვანი კომბოსტოს ფოთლების მხალი მეორენაირად:

ყვავილოვანი კომბოსტოს ფოთლები მოვხარშოთ და გავწუროთ. ორი თავი ხახვი მოვშუშოთ ზეთში ან ერბოში. ჩავუმატოთ დაკეპილი მხალი, წმინდად დაჭრილი მწვანილი და ერთმანეთში კარგად ავურიოთ.

### გოგრის ჩირის მხალი

გოგრის ჩირი ზაფხულში ან შემოდგომაზე უნდა მოვამზადოთ. დასაჩირად ყველა ჯიშის გოგრა გამოდგება, გარდა თეთრი თათრულასი. გოგრა შეიძლება შემოუსვლელიც გამოდგეს, მაგრამ შემოსული უკეთესია.

გოგრა გავთალოთ, მოვაშოროთ კანი, მერე სიგანით გავჭრათ შუაზე, კოვზით გამოვაცალოთ თესლიანი ნაწილი, კარგად გავასუფთავოთ და დავდოთ ნიავზე დასაჭკნობად. მეორე ან მესამე დღეს ეს ნახევრები დავჭრათ ერთი სანტიმეტრის სისქის მოგრძო ნაჭრებად. ისინი კიდევ გავჭრათ სიგანეზე და გადავკიდოთ გასახმობად სუფთა ჯოხზე. როცა გახმება, შევინახოთ მშრალ ადგილას.

ნახევარი კილოგრამი გოგრის ჩირი ჩავალაკოთ მდუღარეში, როცა დარბილდება, გადმოვიღოთ საწურზე და დავწრიტოთ წყლისაგან. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 კბილი ნიორი და მარილი ერთად დავნაყოთ, გავლესოთ ძმარში, ჩავყაროთ შიგ მოხარშული ჩირი, ჩავუმატოთ წმინდად დაჭრილი 3 ძირი ქინძი, 2 ძირი კამა, ნახევარი ჩაის კოვზი ყვითელი ყვავილი და ერთად კარგად ავურიოთ.

დიასახლისი **ოლღა ბრეგვაძე**

---

### ჟურნალის მეექვსე ნომერში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

**ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ**

3. ორლოვა. 6. დოდე. 7. კანტი. 8. დელტა. 9. დელი. 14. ლალი. 15. ებრო. 17. აისი. 20. თერგი. 21. კიო. 23 ავი. 24. ენდრო. 26. კიტი. 27. ერთი. 29. შინდი. 31. ობი. 32. ალი. 33. ადენი 35. ინდი. 37. ნამი. 40. ნერუ. 41. ტალი. 43. დანტე. 45. სილვა. 46. იავა. 47. ტრიუმი.

**ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ**

1. არგენტინა. 2. ავთანდილი. 4. შოპენი. 5. იტალია. 10. ჩანგი. 11. სიო. 12. ნეი. 13. ირანი. 16. დე გრიე. 18. სერი. 19. ბრძენი. 22. ოშკი. 23. აიდა. 25. ოხ. 27. ეტნა. 28. ლი. 30. დანა. 34. დორა. 36. ლია. 37. ნაბიჭვარი. 38. იდეალიზმი. 39. ონი, 42 ანანია. 44. სეტყვა.

გარეკანის პირველ გვერდზე —

«მ უ შ ა  დ ა  კ ო ლ მ ე უ რ ნ ე  ქ ა ლ ი».

ქანდაკება ვერა მუხინასი.

---

რედაქტორი თეო აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. ჩიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. სააღრ. ფორმ. რაოდ. 3,5.

რედაქციის მისამართი. სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. **ფასი 3 მან.**

შეკვეთის № 788, უე 03918.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

**Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".**

**Издательство ЦК КП Грузии.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა ს. მირიანაშვილის  ტექსტი შ. ამირანაშვილის

# მოდი, გიმღერო




რამ შეგიცვალა გუნება ვფიქრობ,
რატომ გაურბი შეხვედრას ჩემთან.
ჩემი სიმღერა გხიბლავდა თითქოს,
თითქოს ოცნება გვიყვარდა ერთად.

შენ მებუტები, მაგრამ თვალები
შმაგი ტრფიალის ცეცხლით ინთება,
სიყვარულს ვერსად დაემალები,
გულში თავისით შემოფრინდება.

ნუ გამირბიხარ, ნუ ჩემო კარგო,
გულს ენატრება ღიმილი შენი,
თვალებჟუჟუნა მაისის ვარდო,
მოდი, გიმღერო ბულბულის ენით.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—«ქ ა ლ პ ე პ ე ლ ა».

ნახატი ლ. შენგელიასი.

ნაზი კილასონია

# ქალპეპელა

ყვავილების ბორიალს
ეს რა შემონთებია?
სიო ხომ არ გგონიათ—
ქალპეპელას ფრთებია...

დაიკონავ, ფარფატავ,
თმეზზე ცვარი გეზნევა,
ველ-მინდვრები დახატა
შენმა ჭრელმა პეპლებმა.

ნარგიზები, სოსნები
გზას გიფენენ ხალიანს,
და მგოსნები-ფრთოსნები
სტვენით შემოგხარიან.

ნაკადული დგაფუნებს,
ბროლის შხეფი ეპნევა,
გამარჯობა, ზაფხულო—
ფრთაშრიალა პეპელავ!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა